

მაყურებინეთ ყველა ქართული ტელეარხი!
დააკანონე must-carry!

ეს შენ გეხება

# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 15 ივნისი, 2012 წელი.

№113 (6989)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

## დროშები, დროშები, ლურჯი დროშები ჩქარა! მაგრამ მაინც... ④



„შენი ვახტანგი ლუდოვიკოს ფეხზე ჰკიდია“...

## უგულავასთვის მიბარებული მილიონები უგზოუკვლოდ იკარგება ②



## დროა, ვალერი გელბახიანმა კითხვებს უპასუხოს!



## თბილისმა მოსკოვს საქართველოს მოქალაქეების დევნაში დასდო ბრალი

## სამხედრო თანამშრომლობის ახალი, შეზღუდული სტრატეგია ⑧

## ივანიშვილის გაუვნებელყოფით პროცესი არ შეჩერდება ⑤

ეკა ხვედელიძის თამამი განაცხადი

## რატომ გაგვინაწყენდნენ ჩრდილო-კავკასიელები?.. ⑥

დედაქალაქი

# უგულავასთვის მიბარებული მილიონები უგზოუკვლოდ იკარგება

**თბილისის ბიუჯეტში სრული ქაოსი და ბუნდოვანებაა. თუკი რაიმე ინფორმაციის გამოთხოვა გახდა საჭირო, მას უცებ მიენიჭება კონფიდენციალურობის სტატუსი. სასამართლოსთვის მიმართვის შემთხვევაში კი პროცესი წარმოუდგენლად დიდხანს იწელება.**

სამმა არასამთავრობო ორგანიზაციამ, „პიემსი კვლევითმა ცენტრმა“, „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრმა“ და „კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევების ცენტრმა“ თბილისის ბიუჯეტის მონიტორინგის შუალედური შედეგები გამოაქვეყნეს. ბიუჯეტის მონიტორინგი რამდენიმე სფეროში ჩატარდა.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაციის „ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის“ წარმომადგენელმა მიხეილ კუკავამ განაცხადა, 2012 წლის ბიუჯეტში სოციალური ხარჯების დაფინანსება შემცირებულია. მისი თქმით, არ არის დეტალურად გაწერილი ჯანდაცვის და სოციალური დაცვის ხარჯები.

„ეს ართულებს ინფორმაციის მოძიებას სამედიცინო ლაბორატორიების მომსახურების, სამედიცინო დაწესებულებების რეკონსტრუქციასა და შეკეთების და ჯანდაცვასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების შესახებ“, – განაცხადა მიხეილ კუკავამ.

2011-12 წლებში შემცირდა საბიუჯეტო დანახარჯები. მათივე თქმით, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე და უსაფრთხოებაზე, დასვენებაზე და კულტურაზე ბიუჯეტი სტაბილურად მზარდია. გარემოს დაცვაზე და განათლებაზე გამოყოფილი თანხები კი, წლების განმავლობაში მცირდება.

რაც შეეხება სკოლამდელი განათლების დაწესებულებებს, მონიტორინგის შედეგად, გამოიკვეთა, რომ საბავშვო ბაღებში მაღალშემოსავლიანი ოჯახებიდან ბავშვების რაოდენობა მეტია დაბალი და სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვებზე. ბაგა-ბაღებში არსებული თანადაფინანსების სქემა არასრულფასოვანია. ბუნდოვანია ასევე საბავშვო ბაღებისთვის კვების პროდუქტებისა და სხვა ტიპის ინვენტარის შესყიდვის პროცედურებთან დაკავშირებული საკითხები. მათი თქმით, გაურკვეველია ვინ ახდენს ზემოაღნიშნული საქონლის შესყიდვას და რა ფორმით.

„საბავშვო ბაღები გამოირჩევა საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის სირთულით და გამოთხოვილი ინფორმაცია, ხშირ შემთხვევაში, უსარგებლოა“, – განაცხადეს არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

„პრიორიტეტები, მიზნები, ღონისძიებები, ამოცანები, პასუხისმგებლობის ვადები, ხარჯთეფექტურობის კოეფიციენტი და ა.შ. არ არის. ვიღებთ აბსოლუტურად გაუმჭვირვალე ბიუჯეტს, ანუ დისკრეციული ხარჯები არის ძალიან მაღალი, ეს არის პრობლემა, ანუ, შეგიძლია განათლების პროგრამიდან გასწიო ისეთი ხარჯები, რომელიც წინასწარ არასდროს გაგიწერია“, – ამბობს მიხეილ კუკავა.

კიდევ უფრო გაუმჭვირვალეა მერიის სარეზერვო ფონდების განკარგვა. მის მონიტორინგს „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი“ აწარმოებდა. ცენტრის კვლევისა და რეფორმების ხელშეწყობის პროგრამის კოორდინატორი შოთა მურღულია ამბობს, რომ 2010 წლამდე სარეზერვო ფონდის შესახებ ძალიან დეტალური ინფორმაციის მიღება შეიძლებოდა კვარტალური და წლიური ანგარიშებიდან.



სწორედ ამ ფონდის მონიტორინგის შედეგად მოიპოვა 2010 წელს ორგანიზაციამ ინფორმაცია, რომ მერია შეძლებულ ადამიანებს, რომლებიც საქართველოს მოქალაქეებიც კი არ იყვნენ, თბილისში ძვირადღირებულ ბინებს უძენდა, რაც შესაძლებელი იყო ბიუჯეტისთვის დართული ფორმის ანალიზის საფუძველზე. ახლა სარეზერვო ფონდის ბიუჯეტს ასეთი ფორმა აღარ ახლავს:

„სარეზერვო ფონდის ხარჯვის წესი არც ერთ თვითმმართველობას არ აქვს, იმიტომ, რომ კანონი ამას არ ითხოვს. შესაბამისად, ეს ფორმა ამოღებულ იქნა თბილისის ბიუჯეტიდან, გაქრა ანგარიშებში დეტალური ჩამოთვლა, თუ რაზე იხარჯება სარეზერვო ფონდი და მოცემულია მხოლოდ ჯამური მოცულობა, ამას პლუს ის, რომ ჩვენ დავადგინეთ, რომ სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით, თბილისის სარეზერვო ფონდიდან ფულის ხარჯვა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობას არ ექვემდებარება“, – ამბობს შოთა მურღულია.

მისი თქმით, ეს იმას ნიშნავს, რომ სარეზერვო ფონდიდან ყოველგვარი ტენდერის გარეშე შეიძლება თანხა დაიხარჯოს და თუ არ იქნა გაშიფრული სარეზერვო ფონდის ხარჯვის შინაარსი, შესაძლოა, უფრო მეტი თანხა დაიხარჯოს, ვიდრე ეს ბიუჯეტით იყო გათვალისწინებული და ის შემდეგ ხელახლა შეივსოს.

თბილისის ბიუჯეტის მკვლევარი ორგანიზაციები მონიტორინგს წლის ბოლოსთვის დაასრულებენ. მათი განცხადებით, სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად შეიძლება სასამართლოსთვის მიმართვაც დასჭირდეთ.

**გიორგი ბექაური**

პოლემიკა

# დროა, ვალერი გელბახიანმა კითხვებს უპასუხოს!



**სადაო არ გახლავთ, რომ ბატონი ვალერი გელბახიანი გამორჩეული იურისტი, პოლიტიკოსი და საკმაოდ ცნობილი ანალიტიკური აზროვნების ადამიანია, ვისი ცხოვრებაც ათასგვარი წინააღმდეგობითაა აღსავსე. იგი ხელისუფლების მიმართ მადლიერებას არ ფარავს, რომ შეიწყალეს და საშუალება მიეცა სამშობლოში დაბრუნებულიყო და მისთვის უძვირფასეს ადამიანს, დედას უკანასკნელად მოფერებოდა.**

გაზეთ „ასავალ-დასავალში“ 2010 წლის 28 აგვისტოსა და 6 სექტემბერს დაიბეჭდა ბატონი ვალერის ინტერვიუ, რომელსაც ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა უძღვებოდა, იგი ძირითადად აჭარის ყოფილი ხელისუფლების პოლიტიკურ ნაბიჯებსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს შეეხება. ამ ინტერვიუში დასმული ზოგი სპეციფიკური საკითხის გამო გაზეთს შევთავაზეთ ჩვენი მოსაზრება საზოგადოების სწორი ინფორმირებისა და გაუგებრობების მოხსნის მიზნით. სამწუხაროდ, გაზეთ „ასავალ-დასავალის“ რედაქციამ ჩვენი წერილი არ დაბეჭდა და მიზეზების გარკვევის საშუალებაც არ მოგვეცა.

მიგვაჩნია, რომ ბატონი ვალერი გელბახიანის მიერ წამოწეული საკმაოდ სკანდალური თემის მიჩქმალვა არ შეიძლება, რადგან მას ჩვენთვის, აჭარაში მცხოვრები ქართველებისათვის, დიდი მნიშვნელობა აქვს. აუცილებელია, გაირკვეს რა ტენდენციასთან გვაქვს საქმე, თუ ეს იყო აჭარის მისამართით წამოწყებული მორიგი პროვოკაცია.

დღეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებიდან გამომდინარე აუცილებელია დავუბრუნდეთ ვალერი გელბახიანის ინტერვიუს, რომელშიც იგი აცხადებს – **„მე ვიტყვი ერთ დახურულ და დღემდე გაუხმაურებელ ინფორმაციას. ბათუმში თბილისიდან ჩავიდა სპეციალური ჯგუფი და ასლან აბაშიძეს შესთავაზა, ჩაეკეტა არა ქობულეთი, არამედ მახინჯაურის მისადგომები ჩაქვამდე, ანუ ქობულეთი უნდა დაეტოვებინა ხელისუფლების სათარეშოდ. ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები დაბანაკდებოდნენ ქობულეთში თავის მომხრეებთან ერთად, მერე ვიღაცას მოშივდებოდა, დაიწყებოდა ძარცვა, აჭარაც და საქართველოს დანარჩენი მოსახლეობაც დაინახავდა როგორ ნადგურდებოდა, იკარგებოდა ქობულეთი და ამით აგორდებოდა დიდი ტალღა ახალი ხელისუფლების წინააღმდეგ. აი ეს გეგმა შესთავაზეს ასლან აბაშიძეს თბილისიდან ჩამოსულმა ჯგუფმა“ (სტილი დაცულია),** – აცხადებს ბატონი ვალერი.

ამ ინფორმაციით თუ დეზინფორმაციით (სწორედ ესაა გასარკვევი) ავტორი, თავის დროზე ასლან აბაშიძის მარჯვენა ხელი და მრჩეველი იყო. იგი ასლან აბაშიძის ბევრი ნაბიჯის და გადაწყვეტილების თანაავტორი გახლავთ.

ჟურნალისტის კითხვაზე, თუ ვინ იყო ეს ჯგუფი, ბატონი ვალერი გელბახიანი უპასუხებს – **„თუ საჭიროდ ჩათვლიან, ეს ადამიანები თვითონ იტყვიან ამის შესახებ, თუ არა და მოვა ამის დრო და ისევ მე ვიტყვი, მაგრამ ახლა მათგან არ ვარ უფლებამოსილი მათი ვინაობა დავასახელო!“** ბატონმა ვალერიმ კარგად იცის, რომ ისინი ამას არასოდეს საჯაროდ არ იტყვიან.

ჩვენ, აჭარაში მცხოვრებ ადამიანებს, მიგვაჩნია, რომ დადგა დრო, ვალერი გელბახიანმა სწორედ ახლა დაასახელოს ის ადამიანები, ვისზეცაა საუბარი. მისი გადადება არ შეიძლება. მას ამისათვის არავის ნებართვა არ ჭირდება. თუ ეს ასე არ მოხდება, უნდა ვიფიქროთ, საქმე გვაქვს წინასწარ გათვლილ პროვოკაციასთან, რომლის თანამონაწილე შეიძლება ბატონი ვალერიც იყო.

ვალერი გელბახიანი ამაზე არ ჩერდება და იქვე აგრძელებს: **„ასლან აბაშიძეს შესთავაზეს მეორე გეგმაც. საპრეზიდენტო არჩევნებში აჭარის მოსახლეობას მონაწილეობა არ უნდა მიეღო და ასლან აბაშიძის ხელისუფლებას არ უნდა ეცნო სააკაშვილის გაპრეზიდენტება. აფხაზეთი არ ცნობდა, არ ცნობდა ოსეთი, არ ცნობდა აჭარა, იგი საქართველოს პრეზიდენტად ვერ გამოცხადდებოდა, ხოლო თუ თვითონ გამოაცხადებდა თავს პრეზიდენტად და ამის შესახებ ინტერვენციას დაიწყებდა აჭარაში, ეს მიშა სააკაშვილის წამოწყებული სამოქალაქო ომი იქნებოდა. და ამას საერთაშორისო სამყარო აჭარას აღარ დააბრალებდა, დააბრალებდა სააკაშვილს“ (სტილი აქაც დაცულია).**

ამით ამ თემაზე მსჯელობა არ ამოწურულა. ბატონი ვალერი აქვე აცხადებს – **„მე ვფიქრობ, რომ ეს პროვოკაციული გეგმა იყო, მაგრამ ფაქტია, რომ ეს გეგმა შესთავაზეს ასლანს. ასლანი არ დაეთანხმა ამას. მას ისიც შესთავაზეს – თუ სააკაშვილი ძალადობაზე წამოვა, აჭარის დამოუკიდებლობა გამოაცხადეო. ამაზეც უარი თქვა ასლან აბაშიძემ, მან განაცხადა, ბაბუაჩემმა სიცოცხლე შეალია საქართველოსთან შეერთებას და მე აჭარის დამოუკიდებლობას ვერ გამოვაცხადებო“,** – დაბეჯითებით ადასტურებს ბატონი ვალერი.

ჩვენ, აჭარაში მცხოვრებ ინტელიგენციას, რიგით ადამიანებს უნდა მოგვეცეს საშუალება, მოვლენათა სწორი შეფასება შევძლოთ. ამიტომ ბატონი ვალერი გელბახიანი ვალდებულია, დღეს საჯაროდ განაცხადოს, ვინ იყვნენ ის ადამიანები, ვინც ჩვენი მხარის სამოქალაქო ომში ჩათრევა სცადა. ჩვენ იმ ადამიანებს ნიღაბი უნდა ჩამოვხსნათ. თუ ამას ხელს შეუშლიან და თავად ბატონი ვალერი ამისგან თავს შეიკავებს, მაშინ სხვა კითხვები გაჩნდება, რომლებზე პასუხის გაცემაც კვლავ ბატონ ვალერის მოუწევს. ჩვენი მხარის ბედზე თამაშს ყველამ თავი უნდა დაანებოს. ჩვენზე უკეთ არავინ იცის ვინ ვართ, საიდან მოვდივართ და რა არის ჩვენი მიზანი და ოცნება, იგი ქვეყნის გამთლიანება და ეკონომიკური აღორძინება გახლავთ.

**თამაზ ცინცაძე**

ინფორმაცია

## ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა „ქართულ ოცნებას“ 17 ივნისს აქციის ჩატარების ნებართვა მისცა

**ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ კოალიციის ერთ-ერთმა ლიდერმა დავით ბერძენიშვილმა განუცხადა.**

**მისივე განმარტებით, აქცია ალექსანდრე წურწუმიას სახელობის სახელმწიფო თეატრის წინ გაიმართება.**

**„სულ 2-3 ადგილზე შეიძლებოდა ოზურგეთში აქციის ჩატარება, მათგან ერთ-ერთი გამგეობის მიმდებარე ტერიტორიაა, თუმცა ქალაქის მთავრობამ ათასობით მოქალაქის შეკრება იქ არ მოინდომა“, – აღნიშნა ბერძენიშვილმა.**

**კოალიციას ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება, თუ რომელ საათზე გაიმართება აქცია.**

პარტიებსა და მოძრაობებში

## მინდია გულუას წინასაარჩევნო განცხადება

**გუშინ პოლიტიკური პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ მრჩეველმა საერთაშორისო ურთიერთობის საკითხებში მინდია გულუამ საგანგებო სკაიპ-კონფერენცია გამართა. მან ისაუბრა პარტიის სამომავლო გეგმებზე, განაცხადა, რომ 20 ივნისიდან იწყებს შეხვედრებს სხვადასხვა ქვეყნის ლიდერებთან, რათა მათ გააცნოს საქართველოში არსებული რთული მდგომარეობა.**



მინდია გულუამ დასაბუთებულად უპასუხა ჟურნალისტების კითხვებს, თქვა, რომ მის პარტიას ჯერჯერობით მყარი ადგილი არ აქვს დამკვიდრებული საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში, სამაგიეროდ სხვათაგან გამოირჩევა იმით, რომ მისი წევრები თითქმის მთლიანად ახალი სახეებია. ამასთან, პარტიის რამდენიმე თანამშრომლის მიმართ უნდობლობაც გამოხატა, შემოგზავნილები არიანო. თუმცა მათი გვარები არ დაუსახელებია.

მან ილაპარაკა რუსეთში თავის მოღვაწეობაზე: ქართულ კულტურას ავრცელებს საქართველოს ფარგლებს გარეთ. გახსნილი აქვს ქართული საგანმანათლებლო სკოლები, ასევე, პატრიარქის კურთხევით მოპოვებული აქვს უფლება ქართული სამრეკლოების აშენებისა. რაც შეეხება პარტია „განახლებული საქართველოსთვის“ პოლიტიკურ კრედოს, მინდია გულუა თავის პარტიას სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის ოპონენტად თვლის.

მისი განცხადებით, ეს პარტია მონაწილეობას მიიღებს არჩევნებში და აგვისტოს შუა რიცხვებიდან „სიურპრიზებს“ გვიმზადებს.

**ნათია ლომია,**
**ნანა კონტრიძე,**
**ლალი ჭიტაძე,**
სტუდენტები.

ინფორმაცია

## ბიძინა ივანიშვილის დეპორტაცია სამართლებრივად გამორიცხულია

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერის იურისტების განმარტებით, ბიძინა ივანიშვილის დეპორტაცია სამართლებრივად გამორიცხულია.**

**ამასთან, როგორც „ინტერპრესნიუსს“ არჩილ კბილაშვილმა განუცხადა, ივანიშვილის დეპორტაცია რამდენიმე კანონით არის შეუძლებელი.**

**„ივანიშვილი არის საფრანგეთის მოქალაქე. მას აქვს საქართველოში უწყვეტად ყოფნის უფლება 360 დღის განმავლობაში, თუმცა მას ჰყავს ოჯახის წევრები, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც ამ ქვეყანაში ცხოვრობენ. შესაბამისად, ასეთი ვითარებისას ევროკონვენციით აკრძალულია პირის დეპორტაცია ქვეყნიდან იმ შემთხვევაშიც კი, თუ დაირღვევა 360-დღიანი ვადა“, – განაცხადა არჩილ კბილაშვილმა.**

**გარდა ამისა, მისივე განმარტებით, ივანიშვილის საფრანგეთში დეპორტაცია გამოირიცხება ახლად მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებებიდან გამომდინარეც, რომელიც ივანიშვილს არჩევნებში მონაწილეობის უფლებას აძლევს.**

**„მიუხედავად იმისა, ისარგებლებს თუ არა ბიძინა ივანიშვილი ახლად მიღებული საკონსტიტუციო ცვლილებით, კონსტიტუცია მას უფლებას აძლევს არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. კანონმდებლობით კი გამორიცხულია, მოხდეს საარჩევნო უფლების მქონე პირის დეპორტაცია. ეს არის რკინის ლოგიკა“, – აღნიშნა არჩილ კბილაშვილმა.**

ინტერპრესნიუსი

◉ განსჯა

# „შეშფოთებები“, ანუ ორმაგი სტანდარტები
## მათში გარკვევის გზები



თავისი სამხედრო ძლიერებით გულმოცემული ამერიკა იმდენად დაუფარავად ატარებს „მე ვარ და ჩემი ნაბადის“ პოლიტიკას ყველა კონტინენტზე, რომ დღეს აბსოლუტური უმრავლესობისთვის ნათელია – ამერიკის მხარდაჭერა-არდაჭერას განსაზღვრავს არა ქვეყნის დემოკრატიულობა, არამედ – ხელისუფლების პროდასავლურობა, უფრო ზუსტად პროდასავლური ყურმოჭრილობა, უსიტყვო მორჩილება (აბა, პროდასავლურობაში და იქაურ დემოკრატიაში არაფერია ცუდი; მართალია, მთლად ისეთიც არ არის, ბევრს რომ ჰგონია, მაგრამ ყველაფერი ხომ შედარებითია!ძ. და მაინც, ბევრი რამ გაუგებარი და აუხსნელი რჩება პოლიტიკაში ნაკლებად ჩახედული ადამიანისთვის. რატომაა, რომ მიუხედავად ჩვენი მხრიდან ამერიკის სრული მხარდაჭერისა, მისი მოთხოვნილებების (გნებავთ, რეკომენდაციებისძ უსიტყვოდ შესრულებისა (თანაც, ფრიადზე!ძ, მის მიერ წამოწყებულ სამარცხვინო ომებში აქტიური მონაწილეობისა (პირველობისა!ძ, ამერიკის მხრიდან კი ჩვენი „უანგარო“ დახმარებისა, საქართველო მაინც უკან და უკან მიდის – ეკონომიკურად, სოციალურად და პოლიტიკურად. არადა, ერთი ფაქტი უდავოზე უდავოა – ამერიკის ინტერესების უფრო უკეთესი გამტარებელი, ვიდრე საქართველოა, მე სხვა ქვეყანა არ მეგულება!

**დასავლეთის სტანდარტების და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ-ეკონომიკური პროცესების არსში ღრმად ჩაწვდომა ძალზედ გაჭირდება მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გაუთვალისწინებლად (ნავთობზე ფასების თამაშიდან დაწყებული, ინფლაცია-დეფოლტით, რევოლუცია-ომებით გაგრძელებული და მთავრობათა ცვლით დამთავრებული) – მათთან შედარების გარეშე და საერთო მნიშვნელის დაუნახავად ჩვენს ცხვირწინ მიმდინარე მოვლენებსაც ვერ მოვუძებნით თავს და ბოლოს! ცხადია, განათლებული კაცი ბევრ რამეს თავისითაც ხვდება, მაგრამ მაინც, სულ სხვა ფასი აქვს მსოფლიო მასშტაბით პოლიტიკურ-ეკონომიკურ სფეროში ღრმად ჩახედული, მის სამზარეულოში მოტრიალე პროფესიონალის შეხედულებებს.**

იმისათვის, რათა გაგვიადვილდეს წარმოდგენა, თუ რა ხდება ჩვენს თავს (და სხვის თავსაც!ძ, საკმარისია ამერიკელი პროფესორის – ჯონ პერკინსის ორი წიგნის – „ეკონომიკური მკვლელის აღსარება“ და „ამერიკის იმპერიის საიდუმლო ისტორია“, წაკითხვა (გამოშვებულია 2004 და 2007 წლებში, ეს წიგნები მრავალ ენაზეა თარგმნილი, მათ შორის რუსულად, ხოლო პირველი წიგნი ქართულადაც ითარგმნა რამდენიმე წლის წინათძ. ამ, საინტერესოდ საკითხავ წიგნებში უტყუარ ფაქტებზე დაყრდნობით მსოფლიოში მომხდარი თუ ამჟამად მიმდინარე, ერთი შეხედვით, გაუგებარი სოციალურ-პოლიტიკური კატაკლიზმები ისეა წესრიგში მოყვანილი, როგორც ქიმიური ელემენტები – მენდელეევის სისტემაში, უკეთესადაც კი!

ერთი წიგნის, პირველი წიგნის გაცნობითაც, რომელიც 30-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი, უცებ აგვეხილება თვალები – სხვა სახელმწიფოების მაგალითზე დავინახავთ, თუ როგორი(!ძ ადგილი გვაქვს მიჩენილი მსოფლიოში, იმასაც მოვტვინავთ, თუ რატომ ვითარდება ჩვენთან მხოლოდ ინფრასტრუქტურა და მომსახურების სფერო – რატომ შენდება გზები (მთავარი გზები!ძ, სასტუმრო-რესტორნები (ხუთვარსკვლავიანი, რომლებშიც მოსახლეობის 99 პროცენტი ცხვირს ვერ შეყოფს!ძ, ჰიდროელექტროსადგურები (გარემოზე გავლენის გაუთვალისწინებლად!ძ (თუ კი რამ შენდება, ხომ სწორედ ეს ობიექტებიაძ, და რატომ არ ვითარდება ადგილობრივი წარმოება და მეცნიერება. სანამ ეს არ გვეცოდინება, სულ პოლიტიკური ბაიყუშების როლში დავრჩებით, და მოსახლეობის დიდი უმრავლესობა დარწმუნებული იქნება იმაში, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა ქართველებმა დავიწყეთ, რომ „ვარდების“ რევოლუციაც ჩვენ მოვახდინეთ, რომ „არაბული გაზაფხულები“ არაბმა ხალხმა „მოიტყვა... მოიტყვანა“, და იმაშიც, რომ მთელ მსოფლიოში ცეცხლით და მახვილით(!ძ „დემოკრატიის“ დამყარება ხალხის საკეთილდღეოდ ხდება (უდავოა, რევოლუციები ხალხის ხელით ხორციელდება ყოველთვის, მაგრამ მათი მომწყობი(!ძ არასოდეს არაა ხალხიძ.

„ადამიანის უფლებების დაცვის, თავისუფალი არჩევნების, დემოკრატია-გამჭვირვალობის“ სახელებით ცნობილ სპექტაკლებზე და მათ დამდგმელ რეჟისორებზე მიუკიბ-მოუკიბავად გვესაუბრება ზემოთ ნახსენები, მსოფლიოში ცნობილი ეკონომიკური ექსპერტი, თავად ყოფილი „ეკონომიკური მკვლელი“(!ძ ჯონ პერკინსი თავის გახმაურებულ წიგნებში. ზერელე წარმოდგენა მაინც რომ შეექმნას მკითხველს მათ მნიშვნელობაზე, მხოლოდ რამდენიმე პატარა ნაწყვეტს მოვიყვან მეორე წიგნიდან – „ამერიკის იმპერიის საიდუმლო ისტორიიდან“: „ეს თანამედროვე იმპერია შენდებოდა ფარულად, ჩვენი მოქალაქეების უმეტესობას დღემდე ვერ გაუგია მისი არსებობის შესახებ, მაგრამ ეს კარგად იგრძნეს თავის თავზე იმათ, ვისაც ეს იმპერია ექსპლოატაციას უწევს და ვინც მათხოვრულ ყოფაში რჩება“;

**„თუმცა აშშ პირდაპირ არ უწესებს სხვა ქვეყნებს გადასახადებს და შიდა ბაზარზე ეროვნულ ვალუტას არ ცვლის ამერიკული დოლარით, კორპორატოკრატია მთელ მსოფლიოს ბეგრავს შეფარული გადასახადებით** (კორპორატოკრატია ეწოდება იმათ ძალას, ვისაც ხელთ უპყრია ბიზნესის, ხელისუფლების და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მართვის სადავეებიძ“;

**„მსოფლიოში არ არის ადგილი, სადაც კორპორატოკრატიას არ შეეღწიოს. იგი აქტიურად მოქმედებს, რადგანაც უკვე ხელი გაიწაფა „დემოკრატია და გამჭვირვალობის“ სახელით ცნობილი შოუების დადგმაში, და წარმატებით ახორციელებს ამ წარმოდგენებს მსოფლიოს სახელმწიფოების სცენებზე“;**

**„საკმარისია ჩავიხედოთ ჩვენი დემოკრატიის საფუძველთა საფუძველში – საარჩევნო პროცესში და დავინახავთ, რომ არჩევანს ვაკეთებთ კორპორაციების მფლობელებსა და მათ მიერ მოსყიდულ ხალხს შორის“;**

**„ვაშენებდით რა აგურ-აგურ ამ იმპერიას, ჩვენ, ამერიკის მოქალაქეობის სიამაყით მატარებლებმა, მოვახერხეთ დაგვეკარგა ის ფუნდამენტური სულიერი ღირებულებანი, რომლებიც შეადგენდნენ წარსულში „ამერიკელის“ შინაარსს, გულს. ძირითადი სამოქალაქო უფლებები, ასეთი პათოსით გამოცხადებული დამოუკიდებლობის დეკლარაციით, ჩვენ საკუთარ თავსაც წავართვით და იმათაც, ვინც ჩვენს კოლონიურ პრეტენზიათა ორბიტაში მოხვდა“;**

**„აშშ-ს იმპერიას მართავს ადამიანთა ჯგუფი, რომლებიც უმსხვილეს კორპორაციებს უდგანან სათავეში, რაც მათ საშუალებას აძლევს აკონტროლოს ჩვენი ხელისუფლება იმისდა მიუხედავად, თუ რომელი პარტიის – რესპულიკელების თუ დემოკრატების წარმომადგენლები დომინირებენ მოცემულ მომენტში თეთრ სახლში და კონგრესში. ისინი არ ექვემდებარებიან ხალხის ნებას და თავიანთ ქმედებებში არ არიან შეზღუდულნი კანონებით“.**

ამ ბოლო ამონარიდს ერთი ამერიკელის გამონათქვამს დავამატებ მხოლოდ: **„ყველა დროში, და მით უფრო ახლა, ვიდრე ოდესმე, მსოფლიოს მართავენ, პირველ რიგში, საიდუმლო ორგანიზაციები“, „პოლიტიკაში არაფერი არ ხდება შემთხვევით, თუ რაიმე მოხდა, ეს ნიშნავს – ასეც იყო ჩაფიქრებული“.** ეს პრეზიდენტ რუზველტის(!ძ სიტყვებია, იმათთვის განკუთვნილი, ვისაც ე.წ. „შეთქმულების თეორია“ ვიღაცის ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი ჰგონია.

აი, ასეთ რამეებს წერს არა ჩვენისთანა განვითარებადი და გაძვალტყავებული სახელმწიფოს რიგითი მოქალაქე, არა ამ ცხოვრებაზე დაბოღმილი ადამიანი, არამედ – ჰარვარდის და პრინსტონის უნივერსიტეტების პროფესორი, მილიონერი კაცი საკუთარი სამშობლოს – ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკურ წყობაზე, რომელსაც ხუთი თითივით იცნობს. და ეს ამონარიდებია წიგნის მხოლოდ პროლოგიდან!

**იაკობ ლეჟავა,**
18 მაისი, 2012

დასასრული. დასაწყისი იხ. № 112

**P.S. ბევრისმომცველ სიტყვა „დასავლეთში“, მსოფლიოზე ზეგავლენიდან გამომდინარე, ჩვეულებრივ, ამერიკა (ამერიკის შეერთებული შტატები) იგულისხმება; ამერიკაში კი – არა იმდენად ამერიკის პოლიტიკის გამტარებელი(!) მისი ხელისუფლება, რამდენადაც – ამ პოლიტიკის განმსაზღვრელი(!) ძალა – კორპორატოკრატია, თუმცა, ცხადია, პასუხისმგებლობა ყველგან და ყველაფერში სწორედ ოფიციალურ ხელისუფლებას ეკისრება მთლიანად, და არა – ჩრდილში მყოფ ბანკების, ბირჟის და კორპორაციების მფლობელებს.**

**ი. ლ.**

**P.P.S. ვიფიქრე (გულის სიღრმეში), რამე არ მეშლებოდეს, ეგებ „შეშფოთებებს“ ამერიკის მხრიდან პოზიციის შეცვლაც მოყვეს-მეთქი და სახელმწიფო მდივნის ქ-ნ ჰილარი კლინტონის ჩამოსვლას დაველოდე (სამი კვირის წინ დაწერილი წერილის გამოქვეყნებისგან თავი შევიკავე). სამწუხაროდ,მისგან მე ვერაფერი ახალი ვერ მოვისმინე – არჩევნების ჩატარება და ხელისუფლების ცვლა დემოკრატიულად რომ უნდა მოხდეს და, რომ ხალხმა უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი, ამ „პლასტინკას“კარგა ხანია გვასმენინებენ.**

**საარჩევნო პირობები თანასწორი რომ უნდა იყოს, არჩევნები – გამჭვირვალე და ა.შ. და ა.შ., ეს ყველამ კარგად ვიცით და შეხსენება არ გვჭირდება, შეხსენება არც ხელისუფლებას სჭირდება, ამის მეტს რას აკეთებს ოპოზიცია! ხალხს სჭირდება არა შეგონებების კითხვა დემოკრატიაზე, არამედ – საქმიანი დახმარება ამ დემოკრატიის მისაღწევად! ხალხმა რომ უნდა გადაწყვიტოს ყველაფერი, ესეც მოგვეხსენება, მაგრამ თუ მას ამის საშუალება არ ეძლევა ხელისუფლების მხრიდან საინფორმაციო საშუალებების დაბლოკვით და თავად ხალხის დატერორებით (დაშინებიდან, სამსახურიდან მოხსნით დაწყებული და დაჭერებით დამთავრებული), მაშინ უკვე დაცინვაზე მეტია ხელ-ფეხშებორკილ კაცს უთხრა – შენი ბედი შენ ხელშია და როგორც გინდა ისე გადაწყვიტე, ვინც გინდა ის აირჩიეო!**

**ქ-ნ კლინტონთან ოპოზიციის ლიდერების (ნაწილის) შეხვედრის შემდეგ აღინიშნა, რომ სახელმწიფო მდივანი საქართველოში არსებული პრობლემების თაობაზე სრულ ინფორმაციას ფლობს (ზოგიერთი, ამერიკაში ხშირად მოსიარულე ოპოზიციონერი, დარწმუნებული ვარ, იტყვის – ეს ჩვენი პარტიის დამსახურებაა, ჩვენ ვაწვდიდით ამ ინფორმაციასო. რა თქმა უნდა! აბა, ამერიკის საელჩომ და დაზვერვამ რა იცის საქართველოში რა ხდება!). და რახან ფლობს, შესაბამის კონკრეტულ(!) რეაგირებას კი არ ახდენს, მაშასადამე, თვლის, რომ საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოჩენილი „უნარ-ჩვევები“ ხალხზე „ზრუნვის“ თუ კონსტიტუციის „ჭრა-კერვის კურსების“ კუთხით(!), არათუ დასაგმობია, არამედ კბილის გასაკრავიც კი არ არის!**

**ჩვენდა სამწუხაროდ, მაღალი რანგის სტუმრის (ან სტუმრების) გაორებული ენით („ქართულად“ – „დაბლ სპიკ“ ) ნათქვამ ზოგად, ტრაფარეტულ ფრაზებში ვისაც რა ელანდება, იმას ეძებს და პოულობს კიდეც – ხელისუფლებაც და ოპოზიციაც! ჩვენი მტერი იყოს გულ-ხელდაკრეფილი და ოდენ დემოკრატიული ფრაზეოლოგიის იმედად!**

**ი. ლ.**
6 ივნისი, 2012

◉ ინფორმაცია

### სახლში ძაღლთან ერთად ცხოვრობ, ან ძილში უნდა წამომცდენოდა რაღაც, ან ჩემს ძაღლს აქვს საეჭვო კავშირები



**ექსპერტი** გია ხუხაშვილი მის სახლში მოსასმენი აპარატურის დამონტაჟებას „არსებული ხელისუფლების აგონიის ერთ-ერთ გამოხატულებად მიიჩნევს და სისტემური სიმახინჯის მაგალითად აფასებს, – ამის შესახებ ხუხაშვილმა „ინტერპრესნიუსთან“ საუბრისას განაცხადა.

„სახლში ვცხოვრობ ძაღლთან ერთად და როცა მივდივარ, მხოლოდ ვიძინებ. ორი ვარიანტი არსებობს, ან ძილში უნდა წამომცდენოდა რაღაც, ან ჩემს ძაღლს აქვს საეჭვო კავშირები. ჩემი ძაღლი კვირაში სამჯერ ბიძინა ივანიშვილის ძაღლს ხვდება და ერთობა ხოლმე და ალბათ ძაღლებს შორის კავშირის გამო დააყენეს მოსასმენი აპარატურა“, – აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

მისი თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნულ მისამართზე მარტო ცხოვრობს, ფაქტობრივად არ საუბრობს. „განსაკუთრებულს ვერაფერს გაიგებდნენ, იქიდან გამომდინარე, რომ რასაც ტელევიზორში ვლაპარაკობ, იმას ვლაპარაკობ ყველგან. ეს არის აგონიის ერთ-ერთი სინდრომი და სისტემური სიმახინჯის ერთ-ერთი მაგალითი“, – განაცხადა გია ხუხაშვილმა.

ამაღლების ქ. 312-ში, გია ხუხაშვილის მეზობლის სახლში, სავარაუდოდ, მოსასმენი აპარატურა აღმოაჩინეს. შემთხვევის ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები იმყოფებოდნენ. ადგილზე იმყოფებოდა ასევე ხუხაშვილის მეზობლის ნათესავი მამაკაციც, რომელმაც მოწყობილობა პირველმა ნახა. მისი ინფორმაციით, ნათესავმა, რომელიც ამჟამად უცხოეთში ცხოვრობს, დაკეტილ სახლში რემონტის დაწყება სთხოვა და სწორედ ამ მიზნით მივიდა ბინაში. მისი თქმით, გასაღები შეცვლილი დახვდა, რის გამოც კარის შემტვრევა გახდა საჭირო. როდესაც სახლში შევიდა, უცნაური აპარატურა შენიშნა. ასევე ნახა, რომ იატაკი იყო ამოთხრილი და ეს აპარატურა მასში იყო ჩამონტაჟებული. ამის შემდეგ იგი დაუკავშირდა გია ხუხაშვილს და იკითხა, იცოდა თუ არა ამ აპარატურის შესახებ.

### კახა კალაძე ხელისუფლების მხრიდან მის წინააღმდეგ აგორებული შავი პიარის ახალ ტალღაზე საუბრობს

კახა კალაძე ხელისუფლების მხრიდან მის წინააღმდეგ აგორებული შავი პიარის ახალ ტალღაზე საუბრობს. კალაძემ განცხადება აფსუიწწლ-ის მეშვეობით გაავრცელა.

როგორც კალაძე გუშინ გავრცელებულ განცხადებაში აღნიშნავს, ხელისუფლება ტყუილად ხარჯავს დროს, ენერგიასა და ფინანსებს.

„ბოლო თვეების მანძილზე, ხელისუფლებისგან მართული ჯიბის ტელევიზიებით ჩემი მისამართით წამოვიდა შავი პიარის უზარმაზარი ტალღა. მართალია, ბევრს ეცადნენ, მაგრამ ვერაფერს მიაღწიეს, თუმცა თავიდანვე მათ გასაგონად ვაცხადებდი, რომ პატიოსნად ვცხოვრობდი და ტყუილად ხარჯავდნენ დროს, ენერგიას და ფინანსებს“, – აცხადებს კალაძე.

კახა კალაძის განცხადებაშია აღნიშნული, რომ ხელისუფლება შავი პიარის ახალი ტალღის აგორებას გეგმავს და ამისათვის იტალიაში შსს-ს თავისი წარმომადგენელი ჰყავდა მივლინებული. კალაძე განცხადებაში აღნიშნავს, რომ ხელისუფლების მცდელობა უშედეგოა, რადგან მას სუფთა წარსული აქვს.

ინტერპრესი

კერძო აზრი

# დროშები, დროშები, ლურჯი დროშები ჩქარა! მაგრამ მაინც...

**მუხრან მაჭავარიანის ეს სიტყვები ჩამესმოდა, როდესაც აშშ-ის სახელმწიფო მდივანი ქალბატონის „ისტორიული ვიზიტის“ ამსახველ კადრებს ვუცქერდი. არადა, ვინ მოთვლის, რამდენი ასეთი უშედეგო „ისტორიული“ ვოიაჟი გვახსოვს საქართველოში თუ პირიქით, საქართველოდან დასავლეთში ფუჭი იმედის საძიებლად წასული ჩინოსნებისა გასული საუკუნის 90-იანების დასაწყისიდან დღემდე!**

**ამ ბოლო ხანს, სულ მცირე, ორჯერ განმეორდა იგივე — პირველად ამა წლის იანვარში, როდესაც „ჩვენი მაღალი“ ბარაკ ობამამ იწვია ოვალურ კაბინეტში და მეორედ ახლა, როდესაც მადამ კლინტონი ბათუმში ისტუმრა მიშამ. — ზემოაღნიშნული მწარე გამოცდილების მიუხედავად, ქართველი საზოგადოების არცთუ უმნიშვნელო ნაწილი, მაინც იმედით ელოდა, მაგრამ ორივეჯერ, განსაკუთრებით მადამ კლინტონის ვიზიტით, იმედგაცრუებული დარჩა — დიპლომატიური ლექსიკის კომუფლაჟის მიუხედავად მაინც აშკარად იგრძნობოდა არსებული რეჟიმისა და პირადად სააკაშვილის მხარდაჭერა ქალბატონ სახელმწიფო მდივნის მხრიდან!**

მაშინ, როდესაც, როგორც იქნა ეღირსა სააკაშვილს ბარაკ ობამას ოვალურ კაბინეტში შესვლა, ნაცებს და მათს მაღალ ბელადს შინ არაფერი ემუქრებოდათ, რადგან, როგორც დასავლეთში უყვართ ხოლმე თქმა, რეალური ალტერნატივა არ იყო არსებული რეჟიმისა და ამიტომ ობამა-სააკაშვილის რანდევუს შედეგების გამოცნობა დიდ სირთულეს არ წარმოადგენდა.

ახლა კი, მას შემდეგ, რაც ბიძინა ივანიშვილის სახით რეალური ალტერნატივაც გამოჩნდა და უფრო მეტიც, 27 მაისის გრანდიოზული აქციით თბილისელებმა მთელს მსოფლიოს დაანახვეს, რომ „ქართულ ოცნებას“ საზოგადოების უმრავლესობის მხარდაჭერა აქვს, ჰილარი კლინტონის ვიზიტს უფრო მეტი ოპტიმიზმით ელოდა საზოგადოების არცთუ მცირე ნაწილი.

თუმცა ეს დღეებია ჩვენი ე.წ. თავისუფალი, გნებავთ ოპოზიციური ტელევიზიები, განსაკუთრებით მაესტრო, საპირისპიროს გვიმტკიცებენ სხვადასხვა „ექსპერტ-პოლიტოლოგების“ პირით. მაგრამ, როგორც იტყვიან, ფაქტები ჯიუტია, რის გახსენება-გაანალიზებასაც მკითხველთან ერთად შევეცდები...

„ჩვენი მაღალი“, მისის კლინტონთან ერთიერთზე კარსმილმა საუბრის შემდეგ, ერთობლივ ბრიფინგზე ისეთი გაბადრული სახით იდგა ტრიბუნასთან, რომ ცოტაც და კატის კნუტივით კრუტუნს დაიწყებდა, სავარაუდოდ იმ „ტეტატეტ“ შეხვედრაზე მოფერება-დაყვავებით ნასიამოვნები.

ახლა კითხვა-პასუხებიც გავიხსენოთ — ერთი კი წამოცდა მიშას, აქ მე არაფერს ვაკონტროლებო, მაგრამ ეს რომ ფროიდისეული ქვეშეცნეულის წამოცდენა იყო, იქვე გამოჩნდა, რადგანაც პირველი კითხვის დასმის პატივი, რა თქმა უნდა „რუსთავი -2“-ის ჟურნალისტს ერგო, რომელმაც „სატოპკე აუწია“ პატრონს და პატრონის პატრონ ქალბატონს ისეთი კითხვა დაუსვა, ეგება კლინტონს რაიმე აუგი წამოცდენოდა რუსეთზე, მაგრამ მადამ ჰილარიმ, რუსეთი თქვენი საქმე არ არის, საკუთარ თავს მიხედეთო — დაახლოებით ასე უპასუხა.

ასეთივე რუსული პათოსით იყო გაჟღენთილი „იმედის“ კითხვაც, რომელიც საქართველოს ნატოში გაწევრებაზე რუსეთის შესაძლო ვეტოს შეეხებოდა. ხოლო ერთი უცხოელი ჟურნალისტის დასმული კითხვა, სწორედ იმ დროს ჩინეთში მიმდინარე ვლადიმერ პუტინის ვიზიტსა და, აქედან გამომდინარე, სირიის კრიზისის მოგვარებაზე ისე გვაღელვებდა ქართველ საზოგადოებას იმ წუთში, უკაცრავად პასუხია და, როგორც მიცვალებულს აინტრესებს „აბი გლუკოზა და ბროწეულის წვენის ოყნა“.

ერთადერთი, ჩვენთვის რეალურად საინტერესო შეკითხვა როიტერის კორესპონდენტმა დასვა, რომელმაც ერთმნიშვნელოვანი პასუხი მოითხოვა სააკაშვილისგან მისი შესაძლო გაპრემიერ-გაპუტინების შესახებ და ამ თემაზე საკუთარი პოზიციის გამოხატვა ჰილარი კლინტონსაც სთხოვა.

„ჩვენმა მაღალმა“, მართალია, ამას წინათ პრინსტონის უნივერსიტეტში გადმოფრქვეული ბილწსიტყვაობის გამეორება ველარ გაბედა, თუმცა, როგორც სჩვევია ხოლმე, „ოსტატურად“ აუარა გვერდი პირდაპირ პასუხს და თბილისის არჩეულ მერზე, პარლამენტის ქუთაისში გადატანაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების მნიშვნელობაზე ილაპარაკა, ერთი სიტყვით, „სად ერეკლეს“ პათოსით ინავარდა.




საკვირველი ის იყო, რომ დედა- ჰილარიც აჰყვა ონავარ შვილობილს ცელქობაში და მანაც იგივე ოპერის ჰანგები გააგრძელა...

ეს იყო და ეს, სულ 4 კითხვით შემოიფარგლა მთელი ეს ბრიფინგი, რომლისგანაც აშკარად მეტს ელოდა ქართველი საზოგადოება, რომელმაც ვერ მიიღო პასუხები ბევრი ქართველის გულში არსებულ კითხვებზე, რომლებსაც „რუსთავი -2“ და „იმედი“ რა თქმა უნდა, არ დასვამდნენ.

ამიტომ, თქვენი მონა-მორჩილი შევეცდები იქ არდასმული კითხვების აქ, წინამდებარე წერილში დასმას. ოღონდაც ერთი წინასწარი დათქმით: ის, რაც ამ ბოლო დროს არაერთხელ გვსმენია ამერიკის პრეზიდენტიდან დაწყებული და ზოგადად აშშ-ის მაღალჩინოსნებით დამთავრებული, რომ აშშ ქართველ ხალხს უჭერს მხარს და არა რომელიმე პოლიტიკურ პარტიას, დავუშვათ, რომ სიმართლეა და უმთავრესი შეკითხვაც აქედან გამომდინარე დავსვათ.

კითხვა, რომლებზეც პასუხების ძიებაში თავისთავად წამოიჭრება სხვა, ოღონდ რიტორიკული კითხვები, რომლებიც ხშირ შემთხვევაში თავად შეიცავენ პასუხებს...

27 მაისის, პოლიტიკური კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერმა გრანდიოზულმა აქციამ, როგორც ვთქვი, სულ მცირე ის მაინც დაანახვა მსოფლიოს, რომ საქართველოს დედაქალაქის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მხარს უჭერს ახალ პოლიტიკურ ალიანსს!

**ზემოთ დათქმულიდან გამომდინარე — რატომ ეთქვა უარი ბიძინა ივანიშვილს ქალბატონ სახელმწიფო მდივანთან ცალკე, პირისპირ შეხვედრაზე?**

ამ ფონზე ფსევდოოპოზიციის, ახალი მემარჯვენეების და ქრისტიან-დემოკრატების მიწვევა შეხვედრაზე, პარტიებისა, რომელთაც რეიტინგული პულსი მხოლოდ პოლიტიკურად ანგაჟირებულ გამოკითხვებში ეზომებათ და რეალურად დიდი ხანია, მარგინალები არიან, ასეთ პარტიებთან შეხვედრა და ბიძინა ივანიშვილის იგნორირება რას ნიშნავს?

**ანდა, რატომ ვერ მოხვდნენ ჰილარი კლინტონთან აუდიენციაზე საქართველოს ე.წ. პარლამენტში ახლად შექმნილი ფრაქცია „ერთობა სამართლიანობისთვის“ ლიდერი დიმიტრი ლორთქიფანიძე ან ჯონდი ბაღათურია? ჯონდი, რომელმაც ამას წინათ თვით „მიხეილ მაღალი“ გააქცია პარლამენტის დარბაზიდან?..**

რა, ამერიკის ელჩმა, რომელიც წყვეტდა, თუ ვის უნდა შეხვედროდა და ვის არა მადამ ჰილარი, **ჯონ ბასმა არ იცის, რომ ერთადერთი რეალური საპარლამენტო ოპოზიცია სწორედ ეს შვიდკაციანი ფრაქციაა, ხოლო ყველა დანარჩენები, ე.წ. უმრავლესობა-უმცირესობა ერთად აღებული, მიხეილ სააკაშვილის სანოტარო კანტორის კლერკები არიან. კანტორისა, რომელსაც „რატომღაც“ პარლამენტსაც ეძახიან ხოლმე?**

ან, რას უნდა ნიშნავდეს, რომ, ერთი მხრივ მედიის პრობლემებს აღიარებენ ამერიკელები და, მეორე მხრივ, არც ერთ თავისუფალ ტელევიზიას (კავკასია-მაესტროძ არ მიეცა ბრიფინგზე კითხვის დასმის საშუალება (ბეჭდურ მედიაზე რომ არაფერი ვთქვათძ და რატომ მიენიჭათ უპირატესობა ისევ „რუსთავი-2“-სა და „იმედს“. ტელეკომპანიებს, რომლებიც ხელისუფლების პროპაგანდისტული რუპორები არიან?

**ამ ტელევიზიებში გაგზავნილ თავის განცხადებებს ხომ თვით ამერიკის ელჩი, იმის შიშით, რომ მის ნათქვამს შეგნებულად არასწორად გადათარგმნიან, ქართულ ტიტრებს ადებს?!**

ამის მიუხედავად, ვიმეორებ, ჩვენი „დამოუკიდებელი“ ტელევიზიები, „ქართული ოცნება“ და სხვა ე.წ. პროდასავლური ორიენტაციის ოპოზიციური პარტიები, ხშირად საპირისპიროს მტკიცებას ცდილობენ.

ერთადერთი გამონაკლისები ამ ოპოზიციური ეიფორიიდან, ე.წ. პრორუსული ორიენტაციის პარტიებია, ნინო ბურჯანაძისა და კახა კუკავას სახით. ამ უკანასკნელმა პირდაპირ განაცხადა, ჰილარი კლინტონმა სააკაშვილს არჩევნების გაყალბებაზე მწვანე შუქი აუნთოო!

იმაზე, თუ რაზე შეიძლებოდა ყოფილიყო საუბარი სააკაშვილი-კლინტონის პირისპირ შეხვედრაზე, უბრალო მოკვდავებმა მხოლოდ ვარაუდები შეგვიძლია გამოვთქვათ. მაგრამ, თუ ქალბატონი ჰილარის წასვლის შემდეგ ხელისუფლების ქმედებებს გავიხსენებთ, იქნება „მწვანე შუქის“ თეორია, არცთუ უსაფუძვლოდ გამოჩნდეს.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის „ბოინგი“ ჯერ საქართველოს საჰაერო სივრცეს ხეირიანად გაშორებულიც არ იყო, რომ მე-9 არხის მაუწყებლობას პრობლემები შეექმნა; ახალი შემართებით განახლდა კონტროლის პალატის მიერ ქართული ოცნების „მხილების“ კამპანია ამომრჩეველთა მოსყიდვის აბსურდული ბრალდებებით, რის გამოც ბიძინა ბატონს უკვე მერამდენედ მოუწევს ბიუჯეტის მრავალი მილიონი ლარით შევსება;

და ბოლოს, მიშნაცებისგანაც კი მოულოდნელი იყო ისეთი აბსურდი, რომლის ანალოგი მხოლოდ გასული საუკუნის 30-იან წლებშია საძებნი, როდესაც ფაშისტურ გერმანიასა და ბოლშევიკურ რუსეთში მოკლეტალღოვანი რადიომიმღებების ქონა აკრძალული ჰქონდათ უბრალო მოკვდავთ — სამარშრუტო ტაქსებში, ხელისუფლების ერთ-ერთი მონოპოლიურ ბიზნესთაგანში, აიკრძალა რადიოს მოსმენა!!!

ამაზე კარგად იხუმრა გამოჩენილმა პოეტმა, ბატონმა რეზო ამაშუკელმა — **ესენი მალე, ალბათ, ბეღურების ხოცვას და მათი ბუდეების ნგრევასაც დაიწყებენ, რათა, როგორც ჩვენში იტყვიან, ჩიტმაც ველარ მოგვიტანოს ამბავიო...**

არ ვიცი, იქნება ქალბატონმა კლინტონმა ჩვენთვის სასიკეთო რამე-რუმეებიც ურჩია სააკაშვილს და არც მწვანე შუქი აუნთო, მაგრამ ჩამოთვლილი ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებენ.

თანაც სულ მცირე, სააკაშვილი რჩევა-რეკომენდაციებს არ ითვალისწინებს. უფრო მკაცრი მითითებები კი ოკეანეს გაღმიდან არ ჩანს, და რაც უფრო დიდი დრო გავა ამერიკის მდუმარებაში, მით უფრო გაიზრდება ისედაც მზარდი ანტიამერიკული განწყობები საქართველოში პრორუსულის სასარგებლოდ.

**თუმცა, რატომ პრორუსულის? პრორუსულობა ხომ ნელ-ნელა და შეუქცევადად, სწორედაც რომ, პროქართულობის სინონიმი ხდება!**

**ასე რომ, ჩვენო ამერიკელო „სტრატეგიულო პარტნიორებო“, ცოტა აუჩქარეთ! სანამ ეს ჩიტირეკია მიშნაცები მართლაც ჩიტის ბუდეების ნგრევას არ დაიწყებენ, ხმას არ ამოიღებთ?**

**წინააღმდეგ შემთხვევაში ქართველი ხალხი ლეგიტიმურ უფლებას იტოვებს იმისას, რომ ჩათვალოს — ამერიკას ბიძინა ივანიშვილს ლურჯი დროშების (ევროკავშირი, ნატო) ფრიალის არ სჯერა. ანუ, მაინც ნაღდი ურჩევნია სათუოს — ნაღდად იციან, რომ „ჩვენი მაღალი“ სულ უფრო გაზრდის ავღანეთში ქართულ კონტინგენტს, რის შესახებაც, სხვათა შორის, პირველ რიგში ისაუბრა ბრიფინგზე ქალბატონმა ჰილარიმ და მადლობაც გადაგვიხადა ქართველებს მისაბაძი „დემოკრატიული შეგნებისათვის“...**

დავით მხეიძე

გვწერენ

## ალბათ, წაგვადგება!..

**ჩვენი** სააგენტო ქვეყნის საზოგადოებას და მომავალ ხელისუფლებას სთავაზობს საკანონმდებლო წინადადებებს.

ევროსაბჭოს ქვეყნებში ხელისუფლება მოსახლეობას ყოველწლიურად ოფიციალურად აცნობს მინიმალურ სამომხმარებლო კალათის პარამეტრებს და მათ ღირებულებას. ჩვენი აზრით, მინიმალური საპენსიო განაკვეთი არ უნდა იყოს აღნიშნულ მაჩვენებელზე დაბალი.

ნებისმიერი სახელფასო განაკვეთი უნდა იბეგრებოდეს ამ თანხის გამოკლების შემდეგ.

ყოველწლიურად, აპრილ-სექტემბრის პერიოდში ენგურჰესზე ელექტროენერგიის გამომუშავების გარეშე, წყლის რესურსის დიდი ოდენობა უმიზნოდ იხარჯება. აჭარის, გურიის, იმერეთის და სამეგრელოს რეგიონების მეჩაიეობის ფაბრიკები, თუ გავითვალისწინებთ მათი საქმიანობის არც ისე შორეულ წარსულს, აწარმოებენ პროდუქციას. მეჩაიეობის დარგის განვითარებისა და ენგურჰესის შემოსავლების გაზრდის მიზნით ჩვენ გთავაზობთ:

ამ საწარმოებს ენგურჰესიდან მიეწოდოს ელექტროენერგია, რომლის ტარიფი იქნება სიმბოლური — ერთი თეთრი.

ამ საწარმოების ნორმალური ფუნქციონირების მიზნით წინასწარ დაითვალოს საკმარისი ელექტროენერგიის სიმძლავრე.

ამ საწარმოებისთვის ენგურჰესიდან ელექტროენერგიის სიმბოლურ ფასად მიწოდება ყოველწლიურად გაგრძელდეს იმ დრომდე, ვიდრე ეს საწარმოები არ გავლენ მოგების მნიშვნელოვან დონემდე.

ეს ხელს შეუწყობს სამამულო ჩაის პროდუქციის ხარისხის ზრდას, მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას როგორც ადგილობრივ ისე საზღვარგარეთის ბაზარზე, პროდუქციის თვითღირებულების მნიშვნელოვან შემცირებას.

ვაჟა კელეურიძე, თენგიზ ჩხიკვაძე,
ჟურნალისტური გამოძიების სააგენტო „დრო და სივრცე“

№113. პარასკევი, 15 ივნისი, 2012 წელი.

განსჯა

# ივანიშვილის გაუვნებელყოფით პროცესი არ შეჩერდება

## ეკა ხვედელიძის თამამი განაცხადი

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო კამპანია კარგა ხანია დაიწყო. ქუთაისის მოსახლეობას ბალახვანის მოედანზე სიტყვით გამოსვლისას ბიძინა ივანიშვილმა პირობა მისცა, რომ ბოლომდე ხალხის გვერდით იდგება: „მე გპირდებით – ამ ბრძოლაში თქვენ გვერდით ბოლომდე ვიდგები“. თუმცა ივანიშვილის მეუღლე მათი ოჯახისადმი არსებულ საფრთხეზე საუბრობს, რის გამოც ხვედელიძემ ქუთაისში აქციის ჩასვლაზედაც კი უარი განაცხადა. რამდენად რეალურია ივანიშვილის ოჯახის მიმართ საფრთხის არსებობა, რამდენად მართებული ტაქტიკით მოქმედებს ივანიშვილი და სწორად აირჩია თუ არა მაჟორიტარების კანდიდატურები – ამის შესახებ **„ჯი-ეიჩ-ენს“** პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** ესაუბრა.



**— ბატონო რამაზ, „ქართულმა ოცნებამ“ წინასაარჩევნო კამპანიის დაწყების ფარგლებში აქცია თბილისსა და ქუთაისში უკვე გამართა. როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორი ტაქტიკით მოქმედებს „ქართული ოცნება“, როცა აქციაზე შეკრებილ დიდი რაოდენობით ხალხს სახლებში საკმაოდ მალე აბრუნებს?**

— ხალხის განწყობის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, „ქართული ოცნების“ ამ გადაწყვეტილებას საზოგადოება გაგებით ეკიდება და სრულიად უდრტვინველად იშლება აქციიდან. ხალხს არანაირი პროტესტი არ გააჩნია იმასთან დაკავშირებით, „ქართული ოცნების“ მიერ ორგანიზებულ აქციას რაიმე არსებითი შედეგი რატომ არ მოსდევს. მათ იციან, რომ მთავარი არის არჩევნები და ეს შეხვედრები არის მხოლოდ დემონსტრაცია იმისა, თუ რამდენი ადამიანი უჭერს მხარს ბიძინა ივანიშვილს. ფაქტია, ეს ტესტი, ეს ფორმულირება საზოგადოებამ მიიღო, ამდენად, „ქართული ოცნების“ მიერ არჩეული სტრატეგია, შეიძლება ითქვას, სწორია.

**— ყოველ შემთხვევაში, აქამდე არსებული პრაქტიკით თუ ვიმსჯელებთ, საარჩევნო კამპანიის დაწყების დროს პოლიტიკოსებს ამომრჩეველთან უფრო უშუალო ურთიერთობა ჰქონდათ და დეტალურად აცნობდნენ პარტიის სამოქმედო გეგმას. ივანიშვილის მხრიდან რამდენად ხედავთ ამ ფორმულირებას და რამდენად სწორ გზავნილებს აკეთებს ამომრჩევლის მისამართით?**

— ივანიშვილის გამოსვლების დროს ხალხის მიერ გამოხატული რეაქციით თუ ვიმსჯელებთ, საზოგადოება ივანიშვილის მიერ გაკეთებული ინიციატივებით კმაყოფილია. ამ კუთხით ქუთაისის აქცია გამოირჩეოდა, რადგან ქუთაისის სპეციფიკის გათვალისწინებით, „ქართული ოცნების“ ლიდერმა მთელი რიგი მოწოდებები და გზავნილები გააკეთა. მაგალითად, რომ ქუთაისი ინტელექტუალური ცენტრი იქნება, როგორც გელათის აკადემიის ფუნქციონირების დროს იყო, რომ განვითარდება წარმოება და ის ტრადიციები, რაც ქუთაისელებს აქვთ. ეს მოწოდებები საკმაოდ კონკრეტულია. ივანიშვილის მოწოდებიდან ერთ მათგანს გამოვყოფდი, რომელიც გულისხმობს, რომ „მე რასაც ვიტყვი, გავაკეთებ“. ივანიშვილის ამ მოწოდების უკან 20-წლიანი გამოცდილება დგას. მას ქართველი ხალხისთვის იმდენი რამ აქვს გაკეთებული, რომ საზოგადოების თვალში ივანიშვილის მოწოდებები და სიტყვები დამაჯერებელია.

**— ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნების“ მიერ ქუთაისში ორგანიზებულ აქციაზე იმერეთის რამდენიმე რეგიონში „ქართული ოცნების“ მაჟორიტარი კანდიდატები დაასახელა. როგორ ფიქრობთ, ამ კუთხით რამდენად სწორი არჩევანი გააკეთა ივანიშვილმა?**

— შეიძლება ითქვას, რომ ივანიშვილის მიერ დასახელებული ადამიანები შესანიშნავი კანდიდატები არიან და ყველა მათგანი საზოგადოებისთვის კარგადაა ცნობილი. თუმცა დასახელებული მაჟორიტარების შანსები უფრო მეტად მათი კონკურენტების დასახელების შემდეგ გამოიკვეთება. ასე რომ, დასახელებული მაჟორიტარების შეფასება ზოგადად შეიძლება, მაგრამ უშუალოდ მათი შანსების შეფასება მათი კონკურენტების დასახელების გარეშე უსაფუძვლო იქნება.

**— ქუთაისში „ქართული ოცნების“ აქციაზე არ იმყოფებოდა ბიძინა ივანიშვილის მეუღლე ეკატერინე ხვედელიძე, რომელმაც თავისი გადაწყვეტილება მათი ოჯახისადმი არსებული საფრთხით ახსნა. თქვენ რამდენად რეალურად მიგაჩნიათ არსებული საფრთხე?**

— საფრთხის არსებობაზე საუბარი შესაძლებელია, თუ ყველა იმ ინფორმაციას დავიჯერებთ, რაც ხელისუფლების მხრიდან ჩადენილ დანაშაულებზე მიუთითებს. მაგალითისთვის, 26 მაისის შემთხვევა, მაღაზიებზე შემოდებული გვამები, ისეთ დანაშაულებით დამთავრებული, სადაც ცნობილი პირების სახელები დომინირებს, მაგრამ აქაც არსებობს ეჭვი და დანაშაული დამტკიცებული არ არის. ამიტომ გამართლებულია იმ ეჭვის დაბადება, რომ ივანიშვილისთვის პოლიტიკური ბრძოლა უსაფრთხო არ იქნება. შესაბამისად, არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, ორი სტრატეგია არსებობს: ივანიშვილმა ან უკან უნდა დაიხიოს და ბიზნესს დაბრუნდეს, ან მისმა მეტოქემ უნდა იცოდეს, რომ ივანიშვილის გაუვნებელყოფით პროცესი არ შეჩერდება. ალბათ, ივანიშვილის ოჯახი უფრო მეორე გზით წავიდა და ეკატერინე ხვედელიძემ თავის თავზე იტვირთა პროცესების გაგრძელება, თუკი ივანიშვილს რამე მოუვა.

**— იმ შემთხვევაში, როგორც ივანიშვილის ოჯახის წევრები აცხადებენ, თუ ივანიშვილმა ველარ შეძლო პოლიტიკური საქმიანობის გაგრძელება და პროცესებზე პასუხისმგებლობა მისმა მეუღლემ იტვირთა, როგორ ფიქრობთ, საზოგადოების მხრიდან მასაც იგივე მხარდაჭერა ექნება, რაც ივანიშვილს?**

— ხვედელიძეს, ალბათ, ამ კუთხით უფრო სირთულეები ექნება, რადგან ივანიშვილის იმიჯი იმ ქველმოქმედებით შეიქმნა, რასაც ის წლების განმავლობაში ეწეოდა. ხვედელიძის უკან ასეთი იმიჯი არ დგას. მას მხოლოდ მეუღლის სტატუსი აქვს. თუმცა ხასიათით, პოზიციებითა და შეუპოვრობით, რაც ეკატერინე ხვედელიძემ „მაესტროს“ ეთერში თამარ ჩიქოვანისთვის მიცემული ინტერვიუს დროს დატოვა, მგონია, ოპოზიციურ ბრძოლაში ის უფრო სახიფათო ფიგურა იქნება, ვიდრე ახლაა ივანიშვილი ხელისუფლებისთვის. ივანიშვილს ქველმოქმედის გულმოწყალება მაინც ეტყობა, ხვედელიძის შემთხვევაში კი ქალური სიმკაცრე იგრძნობა. ასე რომ, ივანიშვილის მეტოქეებისთვის ივანიშვილი უფრო სასურველი ფიგურაა, ვიდრე მისი მეუღლე.

**— ხალხის იმ რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც თბილისსა და ქუთაისში „ქართული ოცნების“ აქციებზე გამოვიდა, როგორ ფიქრობთ, ასეთ პირობებში ხელისუფლებას არჩევნების გაყალბებისთვის რა შანსები აქვს?**

— აქციაზე გამოსული ხალხის რაოდენობა ერთგვარად არჩევნების დაცვის გარანტიაცაა და ალბათ, არჩევნების დღეს თავისი ხმების დასაცავად ამდენივე რაოდენობის ხალხი თუ გამოვა, მაშინ ხელისუფლებას არჩევნებში გაყალბება ძალიან გაუჭირდება.

ესაუბრა
**მირანდა ნაბახტეველი**




ინფორმაცია

### „საერთაშორისო გამჭვირვალობა“ პროკურატურას მოუწოდებს, რუსთავში ღვინისა და ცხვრის დარიგების ფაქტით დაინტერესდეს

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ კონტროლის პალატის მიერ რუსთავის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე კახა ბარათაშვილის სამართალდამრღვევად ცნობას ეხმაურება და მაკონტროლებელ ორგანოს პოლიტიკური პარტიების მიმართ თანმიმდევრული ქმედებებისკენ მოუწოდებს.

როგორც ორგანიზაციის განცხადებაშია ნათქვამი, მართალია, ბარათაშვილის მიერ ცხვრისა და ღვინის მოსახლეობისთვის გადაცემა კონტროლის პალატამ თავისი მოკვლევით დაადასტურა, თუმცა ყურადღება არ გაუმახვილებია იმაზე, რომ სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსის 164-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულიც – საარჩევნო მიზნით ამომრჩევლის მოსყიდვა.

„კახა ბარათაშვილი პოლიტიკური თანამდებობის პირია, რომელსაც თავისთავად აქვს საარჩევნო და პოლიტიკური მიზნები. შესაბამისად, აღნიშნული ფაქტი ამომრჩევლის მოსყიდვად უნდა ჩაითვალოს. ასეთი გადაწყვეტილება გასაკვირია იმის ფონზეც, რომ მიმდინარე წლის ივნისის დასაწყისში მოსახლეობის სურვილების ასრულების მხოლოდ დაპირების გამო დააკავეს რამდენიმე ადამიანი, რომელთაც კოალიცია „ქართული ოცნების„ სასარგებლოდ ამომრჩევლის მოსყიდვა დაბრალდათ. ამ შემთხვევაში კონტროლის პალატამ მყისიერი რეაგირება მოახდინა და საქმეში პროკურატურა ჩართო. რუსთავში მომხდარ ფაქტში კი, კონტროლის პალატა რატომღაც ვერ ხედავს ამომრჩევლის მოსყიდვას. იმის მიუხედავად, რომ კიდევ უფრო ცხადად იკვეთება სისხლის სამართლის დანაშაული, რადგანაც საქმე გვაქვს არა მხოლოდ დაპირებასთან, არამედ საჩუქრების გადაცემის განხორციელებულ ქმედებასთან. თუკი გავითვალისწინებთ იმას, რომ ქმედების ჩამდენი პირი პოლიტიკური გაერთიანების არა რიგითი აქტივისტი, არამედ მაღალი თანამდებობის პირია, კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ საარჩევნო მოტივებს“, – ნათქვამია განცხადებაში.

ინტერპრესი

# რატომ გაგვინაწყენდნენ ჩრდილო-კავკასიელები?..

ისე მოხდა, რომ ჩრდილოეთ კავკასიასთან ჩვენი ურთიერთობა ჯერჯერობით ჩერქეზების გენოციდის აღიარებით შემოიფარგლა... მეტიც – ამ გენოციდისადმი მიძღვნილი მემორიალის აღმართვით აფხაზეთის სიახლოვეს (და, სავარაუდოდ, იქვე ჩამომდგარი რფ-ის სამხედრო ფლოტის გულზე გასახეთქად), თუმცა ამის პარალელურად, მაღალ-მაღალი საერთაშორისო ტრიბუნებიდან ჩვენი ქვეყნის პირველი პირი კავკასიური ერთობის იდეების ინიციატივითაც გამოდის. ამ ჩვენს მეზობელ ჩრდილოეთ კავკასიაში კი სხვა ეთნოსებიც სახლობენ, რომელთა ყოფის შესახებაც მხოლოდ ყურმოკვრით თუ ვიცით, მათი საქართველოსადმი დამოკიდებულების თაობაზე საინფორმაციო შიმშილს კი წარსულის ლეგენდების გახსენებით თუ მოვიკლავთ ხოლმე შიგადაშიგ. ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენებზე, რაც განსაკუთრებულ აქტუალობას ირანის საკითხის გამწვავების ფონზე იძენს, კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე **ზაალ კასრელიშვილს** გავესაუბრეთ.



**– კავკასიონის ქედს მიღმა, გარდა გენოციდის აღიარების მომხრე ჩერქეზებისა, სხვა პოლიტიკური ორიენტაციის ჩერქეზებიც ცხოვრობენ და დანარჩენი ჩრდილოკავკასიელებიც. რა ხდება იმიერკავკასიაში?**

– ჩერქეზების დიდი უმრავლესობა პრორუსული ორიენტაციისაა, მაგრამ რაღაც სპეციფიკური დამოკიდებულება აქვს ამ ხალხს რუსებისა და თავიანთი დამოუკიდებლობის მიმართ. მაგალითად, პრორუსული ორიენტაციის ჩერქეზი ამბობს, რომ ჩერქეზეთი უნდა იყოს დამოუკიდებელი და ჩერქეზების გენოციდი უნდა აღიარონ, მაგრამ ეს აღიარებაც და დამოუკიდებლობაც მათ რუსეთის ფრთებქვეშ წარმოუდგენიათ. იმის გამო, რომ საქართველომ აღიარა ჩერქეზების გენოციდი, ქართველებს არავინ ლანძღავს, მაგრამ ისინი მიიჩნევენ, რომ ეს არ არის გულწრფელი აღიარება. ეს არის პოლიტიკური თამაში, რომელიც ამ ეტაპზე სჭირდება მხოლოდ საქართველოს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ცეცხლის დასანთებად და რუსეთთან სავაჭროდ და ამ თემით მომავალში აღარ დაინტერესდება. ისინი საქართველოს ხელისუფლებას არ უყურებენ, როგორც თანამოაზრეს.

**– პრორუსი ჩერქეზები თუ ორივე?**

– პრორუსები, თუმცა არაპრორუსებიც დაახლოებით იმავეს ფიქრობენ. არაპრორუსი, პროდასავლური ორიენტაციის ჩერქეზი, რომელიც რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არ დაბადებულა და არ გაზრდილა, რომელიც საერთოდაც პოსტსაბჭოთა სივრცეში არ დაბადებულა და არ გაზრდილა, საქართველოს ხელისუფლების გვერდით ჩერქეზების გენოციდის აღიარების პროცესში ჯერ არ მინახავს. არსებობს ასეთი ორგანიზაცია - დამოუკიდებელი ჩერქეზეთის მთავრობა, რომელშიც შედიან პოსტსაბჭოთა სივრცის გარეთ დაბადებული ჩერქეზები. ეს არის ძალიან ავტორიტეტული და გავლენიანი ორგანიზაცია, რომლებსაც ჰყავთ ძლიერი დიასპორები თურქეთსა და იორდანიაში. ის ხალხი ჩვენს ხელისუფლებასთან არც კი კონტაქტობს.

**– რატომ? ჩვენს ხელისუფლებას არ უნდა, თუ მათ არ უნდათ?**

– არ მგონია, ჩვენს ხელისუფლებას არ უნდოდეს, მაგრამ ისინი არ გამოდიან კონტაქტზე. როგორც ჩანს, ფიქრობენ, რომ საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური ხელმძღვანელობა კავკასიური პოლიტიკის მიმართულებით სწორ ნაბიჯებს არ დგამს. საქართველოს ხელისუფლებასთან ძირითადად ურთიერთობა აქვთ საზოგადოებრივად აქტიურ ჩერქეზებს, რომლებიც ცხოვრობენ ჩერქეზეთის ტერიტორიაზე, ანუ რუსეთის ფედერაციის მოქალაქეები არიან და, როგორც მოგახსენეთ, ეს ის ხალხია, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩერქეზების გენოციდი უნდა ცნონ.

**– ეს როგორ ხერხდება? რუსეთის ფედერაციის მოქალაქე ჩერქეზები საქართველოსთან ერთად მონაწილეობას იღებენ ჩერქეზების გენოციდის აღიარებაში და იმავდროულად ცხოვრობენ რუსეთის ფედერაციაში?**

– ვინც დამოუკიდებლობას არ ითხოვს, რუსეთისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. თუმცა გენოციდის ფაქტი და გენოციდის აღიარება რუსეთის პოლიტიკურ იმიჯს მაინც დიდ პრობლემებს უქმნის და შეუქმნის რუსეთს, კერძოდ, დასავლეთთან ვაჭრობის თვალსაზრისით. ასე რომ, ქართველების მხრიდან ჩერქეზების გენოციდის აღიარების ჟესტი კარგ სადღეგრძელოდ დარჩება: უბრალოდ სხვა ვერაფერი მოიფიქრა საქართველოს ხელისუფლებამ. მეტი ვერაფრით დააინტერესეს ვერც ჩერქეზები და ვერც ჩრდილოკავკასელი სხვა ხალხები.

**– სხვა ჩრდილოკავკასიურ რესპუბლიკებში რა ვითარებაა?**

– იქ ჩვეულებრივად მიმდინარეობს პროცესი. განსაკუთრებით აქტიური იქნება ზაფხული და შემოდგომა, რადგან ტყე გაიფოთლება და ძალიან გაძნელდება „ბოევიკებთან“ ბრძოლა. ჩრდილოკავკასიაში მხოლოდ ფოთლოვანი ტყეებია, ბალახიც მაღალი იზრდება და დადგება თუ დაწვება „ბოევიკი“, მაინც გაზავებულია ბუნებრივ ფერებთან. ბრძოლა ჩვეულებრივად მიდის, უბრალოდ სტილი აქვთ განსხვავავებული. დაღესტანში თავს ესხმიან სახელმწიფო მოხელეებს ან სამხედრო ბაზებს; ინგუშეთსა და ჩეჩნეთში კი მიადამიანების მოთხოვნებზე. ერთი მხრივ, არის პრორუსული ორიენტაციის ჩრდილო კავკასია, რომელიც ეკონომიკური ინტერესებითა და საზოგადოებრივი მდგომარეობით არის მიბმული რუსეთთან და კრემლთან, და არის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი, პროდასავლური, ესე იგი – პროქართული ორიენტაციის ჩრდილო კავკასია.

**– 1992-1993 წლებში ჩრდილო კავკასიელების განწყობა ქართველებისადმი საკმაოდ აგრესიული იყო. ეს გამოჩნდა მათი თანამონაწილეობით ჩვენ წინააღმდეგ ომში, თუმცა მაინც არის ორი ჩრდილო კავკასიური ეთნოსი, რომლებსაც არასდროს და არც მაშინ არ უბრძოლიათ ჩვენს წინააღმდეგ. განსაკუთრებული აგრესიულობით ისინი არც 2008 წელს გამოირჩეოდნენ. ახლა როგორია აგრესიის დონე საქართველოსადმი, მით უფრო, რომ შემოდგომაზე ჩრდილო კავკასიაში მასშტაბური წვრთნები ტარდება?**

– აფხაზეთის ომის დროს აგრესიულობით გამოირჩეოდა პრორუსული ორიენტაციის ჩრდილო კავკასიური ფრთა, რომელიც „გრუმ“ შეაიარაღა და ისინი არც მალავდნენ, რომ იყვნენ ოფიციალური კრემლის ხელის ბიჭები. სხვა აგრესია მე არ მახსოვს. პირიქით, აფხაზეთის ომის დროსაც, 2008 წლის ომის დროსაც, ჩრდილოკავკასიელი მებრძოლების ერთი ნაწილი მორალური ავტორიტეტების შუამავდის ბრძოლები ტერაქტების დონეზე. არის ორი ტიპის მიმართულება: ერთია, რელიგიური ნიშნით მებრძოლი ადამიანები – ვაჰაბიტები, და მეორე, საერო ცნობიერების მებრძოლები, რომლებმაც, თავის დროზე, ბრძოლა დაიწყეს დამოუკიდებლობისთვის და იმავე მოთხოვნებით განაგრძობენ, თუმცა იძულებული არიან, ითანამშრომლონ ვაჰაბიტებთან, რადგან ფული, ტყვია-წამალი, საკვები პროდუქტები ვაჰაბიტებს უფრო აქვთ. მათი თანამშრომლობა იმის გამო დაიწყო, რომ ცივილიზებულმა დასავლეთმა თვალი დახუჭა და ყურები დაიხშო ჩრდილო კავკასიაში დამოუკიდებლობისთვის მებრძოლილობით ითხოვდა, რომ ებრძოლა საქართველოს მხარეზე, მაგრამ ასეთი გადაწყვეტილების მიღება საქართველოს ხელისუფლებას შეეშინდა აფხაზეთის ომის დროსაც და 2008 წელსაც. ამდენად, ისინი ფრთხილობენ.

**– რით გავამტყუნებთ ჩვენს ხელისუფლებას იმის გამო, რომ ფრთხილობდნენ?**

– მაშინ ნუ ეუბნები, რომ ძმები ვართ, რომ მე შენს დამოუკიდებლობას ვაღიარებ, შენ გენოციდს ვაღიარებ, ძეგლს დაგიდგამ. თუ ბრძოლის დროს არ მეძახი, ესე იგი, რუსეთთან ხარ გარიგებული ან არადა, დასავლეთისგან დირექტივა არ გაქვს, რომ დაგეხმარო. ეს კი ნიშნავს, რომ მატყუებ. მათ ასეთი მიდგომა აქვთ: თუ ვმეგობრობთ, ვიმეგობროთ ბოლომდე, მხოლოდ მაშინ ნუ მეძახი, სავაჭროდ რომ დაგჭირდება ჩემი თემა. 2008 წლის შემდეგ ჩვენდამი იყო არა აგრესია, არამედ – დიდი წყენა. ნაწყენი იყვნენ ჩრდილოკავკასიელები, მოგებული ომიდან როგორ გაიქეცით, რატომ არ დაგვიხმარეთ, ჩვენ ხომ თქვენს მტერს ზურგში დავარტყამდით! იმიტომ დაგვიკავშირდნენ, რომ არ იცოდნენ, ამის შემდეგ როგორ მოქცეულიყვნენ: ისევ ტყეებში დამალულიყვნენ, თურქეთში გახიზნულიყვნენ თუ ჩვენთან ჩამოსულიყვნენ. ისინი ხომ ჩაკეტილ სივრცეში არიან და არ იციან, ჩვენთან, შიგნით, რა ხდება.

რაც შეეხება სწავლებას... სწავლება დიდი იქნება. ის, რაც დაინახეს და ინფორმაცია მოგვაწოდეს, მეტყველებს, რომ მობილიზებულია ყველანაირი სახეობის ტექნიკა და საბრძოლო ქვედანაყოფები, სადესანტო და დივერსიული ჯგუფების ჩათვლით. თან ყველა ბრიგადა, ჯამში, თუ არ ვცდები, ორი დივიზიის რაოდენობაა კბილებამდე შეიარაღებული და საზღვრის მთელ პერიმეტრზე: კახეთიდან დაწყებული ცხინვალამდე პერიმეტრზე იქნება სწავლებები. ტექნიკა უკვე შეიყვანეს და ის ტექნიკაც გამოიყვანეს, რაც გადამალული ჰქონდათ. სწავლებისთვის შეყვანილ ტექნიკას აღარც გაიყვანენ და ვერც ედავება საერთაშორისო თანამეგობრობა, რადგან რუსეთი სამხედრო სწავლებას ატარებს. თან ვერც ვერავინ დაუთვლის, საერთაშორისო დამკვირვებლები იქ არ არიან და რომ იყვნენ კიდეც, კვოტის ზემოთ ტექნიკას დამალავს და მათი წასვლის შემდეგ გამოიყვანს. სამხედრო სწავლებისთვის შეყვანილ არც ტექნიკას და არც ცოცხალ ძალას ჩრდილო კავკასიიდან რუსეთი აღარ გაიყვანს.

**– ასეთი სამხედრო ძალა რისთვის სჭირდება – ჩვენ გვაშინებს თუ ჩრდილოკავკასიას?**

– გააჩნია, როგორ გადაწყდება ირანის საკითხი – რუსეთი ერთად აპირებს ჩვენი და აზერბაიჯანის დაპყრობას და ამიტომ შეიარაღება სჭირდება. ერთი სიტყვით, ეს სწავლება ირანის პრობლემას უკავშირდება. თუ ირანის საკითხი რუსეთის სასარგებლოდ არ გადაიჭრა და ის ისევ ამერიკის გავლენის ქვეშ დარჩა, მაშინ რუსეთს სჭირდება სამხედრო ტექნიკა საქართველოსა და ჩრდილო კავკასიას შორის, რომ იქ დამოუკიდებლობისთვის ბრძოლის ცეცხლი არ გაღვივდეს. თან მას ორი საკმაოდ მომგებიანი პოზიცია და სიმაღლე აქვს – აფხაზეთი და ცხინვალი.

**– ამას სიმაღლე აღარ ქვია უკვე: ცხინვალიდან პირდაპირ კეტავს აღმოსავლეთ-დასავლეთის დამაკავშირებელ ტრასას?**

– მეტიც – ის კეტავს ევრაზიის საზღვარს.

**– სამაგიეროდ, ბათუმის და ფოთის პორტები მაინც რჩება დასავლეთს...**

– მაგრამ როგორ იმოძრავებენ ტვირთები ბათუმიდან ბაქოსკენ ან პირიქით?! ვერანაირად!

**მიხეილ ბოლქვაძე**

## ⊙ ინფორმაცია

### ივანიშვილის ვერტმფრენისთვის ლიცენზიის ჩამორთმევას ადასტურებენ



**„ქართული ოცნების“ პრესსპიკერი მაია ფანჯიკიძე ბიძინა ივანიშვილის ვერტმფრენისთვის ფრენის ლიცენზიის ჩამორთმევას ადასტურებს, თუმცა კომენტარს პრინციპულად არ აკეთებს.**

**როგორც მაია ფანჯიკიძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, ეს ფაქტი ჯერ კიდევ მაშინ მოხდა, როდესაც ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში ახალი მოსული იყო, თუმცა ივანიშვილის ქონებრივ საკითხებზე კომენტარის გაკეთებას, პრესსპიკერი საკუთარ კომპეტენციად არ მიიჩნევს.**

**ასევე, ბიძინა ივანიშვილის ვერტმფრენისთვის ლიცენზიის ჩამორთმევას „ქართული ოცნების“ ლიდერის იურისტებიც ადასტურებენ. როგორც „ინტერპრესნიუსს“ იურისტმა ზაქარია ქუცნაშვილმა განუცხადა, ივანიშვილს საფრენი აპარატის საშუალების გამოყანებასთან დაკავშირებით უკვე კარგა ხანია, პრობლემები აქვს.**

**„პრობლემები არსებობს საფრენი აპარატის, კერძოდ, ვერტმფრენის გამოყენებასთან დაკავშირებით. ეს შეზღუდვა უკვე მოქმედებს. მიზეზი კი, შეგიძლიათ კარბელაშვილს ჰკითხოთ“, – აღნიშნა ზაქარია ქუცნაშვილმა.**

ინტერპრესი



◎ წადი-მოდი...

# დემეტრაშვილს თავისივე კონსტიტუციით თბილისში აბრუნებენ

**კონსტიტუციონალიზმის ცენტრი ისევ თბილისში გადმოაქვთ. ამასთან დაკავშირებით სათანადო გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და განათლების მინისტრის ბრძანებაც გამოქვეყნებულია. მაგრამ, როგორც გადატანისას არ არსებობდა რაიმე მყარი არგუმენტი, ეს უწყება, საერთოდ, რისთვის იყო საჭირო, ან მაინცდამაინც ბათუმში რა უნდა გაეკეთებინათ, ასევე არ არსებობს არგუმენტი, ისევ თბილისში დაბრუნების გადაწყვეტილება რატომ იქნა მიღებული. არადა, ამ უწყების ფუნქციონირებისა და გადატანა-გადმოტანისთვის საკმაოდ დიდი თანხაა დახარჯული.**

„კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი" ორი წლის წინათ, პრეზიდენტის გადაწყვეტილების საფუძველზე, იმ საკონსტიტუციო კომისიის ტრანსფორმირების საფუძველზე შეიქმნა, რომელიც ახალი კონსტიტუციის პროექტზე მუშაობდა. იმის გამო, რომ ახალი კონსტიტუცია მთლიანად მოერგო სააკაშვილის ინტერესებს, კომისიას ახალი სახელით და ახალი ფორმატით ფუნქციონირების უფლება მიეცა.

**მართალია, არავინ იცის, ამ უწყებამ ამ ხნის განმავლობაში რა გააკეთა, მაგრამ ფაქტია, რომ ამ წლების განმავლობაში დემეტრაშვილის უწყებისთვის ბიუჯეტიდან ყოველწლიურად 800 ათასი ლარი გამოიყოფა. თავად უწყების ხელმძღვანელის ავთანდილ დემეტრაშვილის ხელფასი 3000 ლარია, ცენტრის დეპარტამენტების ხელმძღვანელები 1685 ლარს იღებენ.**

**დემეტრაშვილი ბათუმში, სელიმ ხიმშიაშვილის №16-18-ში, 130 კვ.მ ფართობის ბინაში იცხოვრებს. ამბობს, რომ ბინა 25 ათას ლარად, პირდაპირი მიყიდვის წესით, შეიძინა აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსგან, აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ლევან ვარშალომიძის ბრძანების საფუძველზე. ეს ბინა თავის დროზე დავით ბაკურიძეს (შინაგან საქმეთა მინისტრის ყოფილი მოადგილე ასლან აბაშიძის დროს) ჩამოართვეს.**

**ახლა ეს ცენტრი ისევ თბილისში გადმოდის. ავთანდილ დემეტრაშვილის ცენტრის დედაქალაქში გადმოსვლის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე თვის წინაც გავრცელდა. არსებული ინფორმაციით, დემეტრაშვილს ჯერ უთხრეს, რომ სამუშაოდ თბილისში უნდა გადმოსულიყო, რადგან მისთვის უკვე გამოყოფილი იყო კონკრეტული შენობა. თუმცა მას შემდეგ, რაც ის გადმოსასვლელად მოემზადა, დემეტრაშვილს აცნობეს, რომ შენობა იუსტიციის სამინისტროს რაღაც სხვა უწყებისთვის დასჭირდა და დედაქალაქში სამუშაოდ გადმოსვლას, ჯერჯერობით ველარ შეძლებდა.**

ახლა კი, როგორც ჩანს, უკვე იპოვეს შენობა, სადაც დემეტრაშვილის უწყება განთავსდება.

**შესაბამისი ცვლილება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამის ბრძანებაში შევიდა, რომელიც საკანონმდებლო მაცნეში უკვე გამოქვეყნდა.**

ცენტრი ჩამოყალიბების დღიდან ქ. ბათუმში, მელაშვილის ქ. №26-ში მდებარეობს. მინისტრის ბრძანებით კი, ცენტრი თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე, № 89/24-ში გადმოვა.

**ამასთან, ამ ბრძანებაში ისიც არის ნათქვამი, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი, „კონსტიტუციონალიზმის კვლევისა და ხელშეწყობის რეგიონალური ცენტრი" დედაქალაქში 1 სექტემბრიდან გადმოვა. დაფინანსების შესახებ არაფერი არ არის ნათქვამი, რაც იმას ნიშნავს, რომ იგივე რაოდენობით დარჩება.**

**საინტერესო და მნიშვნელოვანი კი ის არის, თუ რატომ მიიღეს ეს გადაწყვეტილება. ამაზე ხელისუფლებას კომენტარის გაკეთება არ სურს. ამიტომაც ძნელი გასაგებია, სააკაშვილმა რეგიონების განვითარებაზე ჩაიქნია ხელი თუ პირიქით, რეგიონები ისე განვითარდა კონსტიტუციურად, რომ ახლა ამ მხრივ ჩამორჩენილი თბილისის განვითარებაა საჭირო.**

თუკი სააკაშვილს დემეტრაშვილისთვის მადლობის ნიშნად ბათუმის ცენტრში ბინის ჩუქება სურდა, ამის გაკეთება ისედაც შეეძლო. ყოველ შემთხვევაში, ამ ცენტრის ბათუმში ყოფნის ერთადერთი შედეგი ის არის, რომ დემეტრაშვილს საკმაოდ პრესტიჟულ ადგილას საკმაოდ დიდი ფართობის ბინა შერჩა.

**თეონა ხარაბაძე,**
**For.ge**

◎ ჯანდაცვა

# „იმედია, ბიძინა ივანიშვილი უფასო დაზღვევის პროექტს საგადასახადო ტვირთის გაზრდის ხარჯზე არ განახორციელებს"

**ექსპერტი ეკონომიკის საკითხებში ირაკლი ლექვინაძე კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერ ბიძინა ივანიშვილს ისეთი სადაზღვევო პროექტის განხორციელებას ურჩევს, სადაც დაბალ და მაღალშემოსავლიანი პირების მიმართ ერთნაირი მიდგომა არ იქნება.**



ამის შესახებ ლექვინაძემ „პირველს" ივანიშვილის მიერ ქუთაისის აქციაზე გახმაურებული ინიციატივის კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმად, ივანიშვილი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, პირობას დებს, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს სახელმწიფო დააზღვევს.

ექსპერტი მიიჩნევს, რომ დაზღვევის პროგრამის განხორციელება შესაძლებელია და ეს მოდელი ბევრ ევროპულ ქვეყანაში აპრობირებულია, მაგრამ იმედს იტოვებს, რომ ამ პროექტის განხორციელება საგადასახადო ტვირთის გაზრდის ხარჯზე არ მოხდება.

**„თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოში 4,4 მლნ ადამიანი ცხოვრობს, სამედიცინო დაზღვევის საბაზისო პაკეტის ფასად კი 23 ლარს ავიღებთ, წელიწადში ეს თანხა 1,2-1,4 მლრდ ლარის ფარგლებში იქნება. ამ დროისათვის შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო ბიუჯეტი 1,7 მლრდ ლარია, რომლის დიდი წილი პენსიებზე, სოციალურ დახმარებებსა და ჯანდაცვის პროგრამებზე მოდის. პროგრამის განხორციელება რეალურია, მაგრამ ვისურვებდი, უფრო ეფექტური პროექტის განხორციელებას, სადაც დაბალ და მაღალშემოსავლიანი პირების მიმართ ერთნაირი მიდგომა არ იქნება. კერძოდ, პირობითად თვეში 100 ლარის შემოსავლის და თვეში 5000 ლარის შემოსავლის პირი, შეიძლება, ამ დაზღვევის პროგრამის მონაწილე ერთნაირად არ იყოს, ანუ დაზღვევის პროგრამაში მხოლოდ დაბალშემოსავლიანები მოხვდნენ. ეს დაზოგავს რესურსებს. ასევე იმედი მაქვს, ამ პროექტის განხორციელება საგადასახადო ტვირთის გაზრდის ხარჯზე არ მოხდება, რომელიც, ჩემი აზრით, დღეს მაღალია და გადასახადების ტვირთის შემცირება ბიზნესისთვის აუცილებელია",** — განაცხადა ლექვინაძემ.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობის 1 მილიარდიანი ფონდის შექმნას, ეკონომიკის ექსპერტის შეფასებით, ქართული სოფლის მეურნეობას მიზანმიმართული ერთჯერადი ინვესტიციის განხორციელება — ტექნოლოგიების შემოტანასა და დანერგვაში, ასევე ინფრასტრუქტურის განვითარებაში, აუცილებლად სჭირდება.

**„საქართველოს სოფლის მეურნეობას იაფი ფინანსური რესურსი და გასაღების ახალი ბაზრები სჭირდება. რაც მთავარია, საჭიროა, ინვესტიციები ფერმერების განათლებასა და კვლევებში, დაზღვევის სისტემების, ინფორმაციული ბაზების ფორმირებასა და სტანდარტების იმპლემენტაციაში. იმედი მაქვს, ფონდი მსგავსი ტიპის პროექტების განხორციელებაში დააბანდებს რესურსებს და სოფლის მეურნეობის კომერციალიზაციას ხელს შეუწყობს",** — აღნიშნა ლექვინაძემ.

ამასთან, რაც შეეხება ივანიშვილის კიდევ ერთ ინიციატივას, რომლის მიხედვით, საარსებო მინიმუმის კალათაც გადასახედია, ლექვინაძის შეფასებით, დღევანდელი კალათა რეალური ცხოვრების ღირებულებას მართლაც არ ასახავს.

**„საარსებო მინიმუმის თემა მართლაც გადასახედია, დღევანდელი კალათა რეალური ცხოვრების ღირებულებას არ ასახავს და მისი გადახედვა მნიშვნელოვანია. 154 ლარი ერთი ადამიანისთვის თვეში არარეალური თანხაა, ანუ დღეში 5,13 ლარი. ეს იმას ნიშნავს, რომ ადამიანი კვების გარდა ვერაფერს აკეთებს. ადამიანის ცხოვრებისთვის კი არსებობს სხვა მინიმალური საჭიროებებიც, კერძოდ, სამედიცინო მომსახურება, ტანსაცმელი, ტრანსპორტი და გადასახადები და ა.შ. გაეროს საერთაშორისო სტანდარტით ადამიანი, რომელსაც დღეში 2 დოლარზე ნაკლები აქვს, ითვლება, რომ შიმშილობს. საქართველოში კი საარსებო მინიმუმით, დღეში 3 დოლარი გამოდის",** — აღნიშნა ლექვინაძემ.

შეგახსენებთ, რომ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, ქუთაისში მხარდამჭერებთან შეხვედრისას კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა მოქმედი ხელისუფლების კურსი გააკრიტიკა და ამომრჩევლებს ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში უფასო სამედიცინო დაზღვევას, კომუნალურების შემცირებას, საარსებო მინიმუმის გადახედვას და პენსიის საარსებო მინიმუმამდე გათანაბრებას დაჰპირდა.



**„ჩვენ შევამცირებთ გაუმართლებლად მაღალ კომუნალურ გადასახადებს, პენსია არანაკლები იქნება, ვიდრე საარსებო მინიმუმია. თავად საარსებო მინიმუმის ოდენობაც გადაიხედება, შეიცვლება და რეალურ ციფრს მიუახლოვდება. ადრეც ვთქვი და აქაც გავიმეორებ: ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ჩვენი საბიუჯეტო პრიორიტეტები იქნება ჯანდაცვა, განათლება და სოფლის მეურნეობა. საქართველოში ყველა პირობაა საიმისოდ, რომ აღორძინდეს სასოფლო-სამეურნეო მრეწველობა — იდეალური კლიმატური პირობებია, ბევრია სავარგული მიწა და სამუშაო ძალა. ის, რომ საქართველოში სოფლის მეურნეობა ფაქტობრივად განადგურებულია, ხელისუფლების არასწორი პოლიტიკის შედეგია. ჩვენ რადიკალურად შევცვლით არსებულ პოლიტიკას. საქართველოში აღარ იქნება მოუხნავი სავარგულები, ჩვენ ამას აუცილებლად შევძლებთ. არავის მივაყენებთ 20-ლარიანი ვაუჩერებით შეურაცხყოფას, რადგან ზუსტად ვიცით — ეს არ არის რეალური დახმარება, ეს ხალხის მოტყუებაა, დაცინვაა... ხოლო შედეგი, გაღატაკებული სოფელი და უცხო ქვეყნებიდან შემოტანილი, მდარე ხარისხის პროდუქტია. კოალიცია „ქართულ ოცნებას" დაგეგმილი აქვს, ააღორძინოს ქართული სოფელი. ამისთვის საგანგებოდ დაფუძნდება ერთმილიარდიანი ფონდი, რომელიც მხოლოდ სოფლის მეურნეობაში პირველი ეტაპის ინვესტირებისთვის იქნება განკუთვნილი. ამ გეგმის თანახმად, შეიქმნება ათი ათასობით სამუშაო ადგილი, დახმარება გაეწევა სიღარიბის ზღვარს მიღმა მცხოვრებ, თვითდასაქმებულ მოქალაქეებს. ამასთან, ხელისუფლება თავს იწონებს იმით, რომ ახალ-ახალ საავადმყოფოებს ხსნის, ქუთაისშიც გაიხსნა რამდენიმე საავადმყოფო. გარდა იმისა, რომ ეს საავადმყოფოები გამოუსადეგარია და ვერ აკმაყოფილებს ელემენტარულ სტანდარტებსაც კი, ისინი ფინანსურადაც მიუწვდომელია მოსახლეობისთვის. ყველაზე მძიმე დღეში საშუალო თაობა აღმოჩნდა, ადამიანები, რომლებსაც არც საპენსიო ასაკი შესრულებიათ და აღარც სამსახური აქვთ. მათ სამედიცინო დაზღვევა არ გააჩნიათ, სააკაშვილის ხელისუფლება არც სამომავლოდ ჰპირდება მათ რამეს. ჩვენ კარგად შევისწავლეთ ეს სფერო. ჩემი დავალებით ჯანდაცვის პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობდნენ ამ დარგის საუკეთესო სპეციალისტები. არა ერთი დაძაბული დღე გამოვიარეთ, ყველაფერი დეტალურად გავთვალეთ, მსოფლიო გამოცდილებასაც გადავხედეთ, ყველაფერი ავწონ-დავწონეთ, გავითვალისწინეთ ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციები. და დღეს მინდა, გამოვაცხადო, რომ სახელმწიფო აიღებს ვალდებულებას და იზრუნებს საქართველოს თითოეული მოქალაქის ჯანმრთელობაზე!!! ცხადია, ვისაც ექნება იმის მატერიალური შესაძლებლობა, რომ კერძო სადაზღვევო კომპანიებისგან უფრო უკეთესი ან დამატებითი მომსახურება მიიღოს, მას ამის უფლებას არავინ ართმევს, მაგრამ ვისაც არა აქვს საამისო სახსრები და დღეს ასეა ჩვენი ქვეყნის პრაქტიკულად მთელი მოსახლეობა, მისი სადაზღვევო პაკეტი ბიუჯეტიდან იქნება დაფინანსებული. ბაზისური პაკეტის საშუალებით, საქართველოს მთელი მოსახლეობა უზრუნველყოფილი იქნება თანაბარი, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით. ასეთია ჩვენი განაცხადი და ეს რომ ლიტონი სიტყვები არ არის, ამაში ყველანი დარწმუნდებით, როდესაც ბლოკი „ივანიშვილი-ქართული ოცნება" გაიმარჯვებს საპარლამენტო არჩევნებში და მოვა ხელისუფლებაში",** — განაცხადა ივანიშვილმა.

**თელარა გელანტია**

## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# თბილისმა მოსკოვს საქართველოს მოქალაქეების დევნაში დასდო ბრალი

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ, რუსეთის ფედერალური საიმიგრაციო სამსახურის ხელმძღვანელის კონსტანტინ რომოდანოვსკის განცხადებაზე მითითებით, ბრალი დასდო მოსკოვს საქართველოს მოქალაქეების დევნის კამპანიის დაწყებაში, განაცხადა ოთხშაბათს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურმა.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებიდან ირკვევა, რომ რუსეთში „დაიწყო ადამიანის უფლებათა მასობრივი დარღვევის მორიგი სერიოზული ტალღა, მასობრივად ხდება უმთავრესად ოპოზიციის წარმომადგენლებისა და სხვა მოსაზრებათა ადამიანების სახლებისა და ოფისების ჩხრეკა, დაპატიმრებანი, ფიზიკური ანგარიშსწორება და მათი საქმიანობის შეზღუდვა სხვადასხვა ძალადობრივი მეთოდებით".

უწყებაში აღნიშნეს, რომ „ამ ტალღის კონტექსტში უნდა განვიხილოთ საქართველოს მოქალაქეების დევნის მორიგი კამპანია, რისი დაწყების შესახებაც მოწმობს რუსეთის ფედერაციის ფედერალური საიმიგრაციო სამსახურის ხელმძღვანელის კონსტანტინ რომოდანოვსკის 2012 წლის 13 ივნისის განცხადება".

საგარეო საქმეთა სამინისტროში მიაჩნიათ, რომ „კონსტანტინ რომოდანოვსკი მთლიანად ამართლებს 2006 წელს ეთნიკური ქართველების მიმართ ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევებს, არაადამიანურ ქცევებს, წამებას, დეპრესიებს რუსეთის ხელისუფლების მხრიდან. ამ დროს არ ახსენებს ხალხს, რომლებიც ეთნიკური დევნის კამპანიის მსხვერპლი გახდა.

როგორც ჩვენი გაზეთი იტყობინებოდა, ადრე საიმიგრაციო სამსახურმა დააფიქსირა რუსეთის ტერიტორიაზე მყოფი საქართველოს 9 ათასზე მეტი მოქალაქის მხრიდან კანონმდებლობის დარღვევა.

„ჩვენთან, რუსეთის ფედერაციაში საქართველოს 9 ათასზე მეტი მოქალაქე იმყოფება აქ ცხოვრების 90 დღე-ღამის რეჟიმის გადაჭარბებით. ჩვენ მოვნახავთ ამ ადამიანებს და მივიღებთ მათთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს: ან საიმიგრაციო სამსახური, ან სასამართლო. წესრიგი ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ", – აღნიშნა ფედერალური საიმიგრაციო სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინ რომოდანოვსკიმ.

ორშაბათს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ფედერალური საიმიგრაციო სამსახურის ხელმძღვანელთან კონსტანტინ რომოდანოვსკისთან შეხვედრაზე მას დაავალა წარმოადგინოს წინადადებანი საიმიგრაციო კანონმდებლობის გამკაცრების შესახებ და განახორციელოს მათი სრულმასშტაბიანი განხილვა საზოგადოებრიობასთან ერთად.

„ჩვენ აქ გვაქვს უფლებრივი შესაძლებლობანი უფრო მკაცრი წესრიგის დამყარებისთვის, და ეს უნდა გავაკეთოთ", – განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა. „რასაკვირველია, ეს უნდა გაკეთდეს საჯაროდ", – ხაზგასმით აღნიშნა მან.

იმავე დღეს პუტინმა დაამტკიცა რუსეთის სახელმწიფო საიმიგრაციო პოლიტიკის კონცეფცია 2025 წლამდე პერიოდისთვის, რომლის ძირითად მიზნებად გამოცხადებულია: რუსეთის ფედერაციის ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა, მაქსიმალური დაცულობა, კომფორტულობა და რუსეთის ფედერაციის მოსახლეობის კეთილდღეობა; სტაბილიზაცია და რუსეთის ფედერაციის მუდმივი მოსახლეობის რიცხოვნობის გადიდება; რუსეთის ფედერაციის ეკონომიკის სტაბილურობის უზრუნველყოფისთვის ხელშეწყობა სამუშაო ძალით, მოდერნიზაციით, საინოვაციო განვითარებითა და მისი დარგების კონკურენტუნარიანობის ამაღლებით.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА



# სამხედრო თანამშრომლობის ახალი, შეზღუდული სტრატეგია

საქართველოში თავისი ბოლოდროინდელი ვიზიტის დროს, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა თბილისს მისთვის სასურველი, „სამხედრო თანამშრომლობის ახალ ასპექტებთან" დაკავშირებული ცნობები ჩაუტანა, რასაც საქართველოს, შესაძლოა, ჰპირდებოდნენ კიდეც ამ წლის დასაწყისში პრეზიდენტ სააკაშვილის ვაშინგტონში ვიზიტის დროს, მაგრამ მაშინ კონკრეტული არაფერი თქმულა.

ბათუმში სააკაშვილთან ერთად ყოფნის დროს (მანამდე, სანამ ადგილობრივი მეღვინეების ნაწარმს დააგემოვნებდა) მან დააკონკრეტა ის, თუ რას მოიცავს ეს ახალი თანამშრომლობა:

„ჩვენ წელს მოვილაპარაკეთ ასევე სამხედრო თანამშრომლობის ახალ ასპექტებზე. აშშ უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების წრთვნას და მხარდაჭერას ქვეყნის სანაპირო და საჰაერო კონტროლის სრულყოფის მიზნით. ჩვენ დავეხმარებით მას, შვეულმფრენთა პარკის განახლებაში, რათა შევუმსუბუქოთ რესპუბლიკას თავის ტერიტორიაზე მგზავრების და ტვირთის ტრანსპორტირება. ჩვენ ვაპირებთ, ხელი შევუწყოთ საქართველოს შეიარაღებული ძალების მომზადებას 21-ე საუკუნის სულისკვეთებით, რაც აუცილებელია ამოცანების განხორციელებისთვის დღევანდელ ცვალებად სამყაროში. ამ სიახლეების რეალიზებით საქართველო უფრო მტკიცე საერთაშორისო პარტნიორი გახდება, აიმაღლებს საკუთარ თავდაცვისუნარიანობის დონეს".

სახელმწიფო მდივანმა მონაწილეობა მიიღო ასევე ქართული მხარისთვის სანაპირო დაცვის ახალი ქართული კატარღის გადაცემის ცერემონიაში — ის ერთ-ერთია იმ სამ ხომალდს შორის, რომელიც აშშ-ის დახმარებით განახლდა:

„მე სიხარულით ვმონაწილეობ იმ საპატრულო კატარღის გადაცემის ცერემონიაში, რომელიც სულ მალე საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახურში ჩადგება. ეს ხომალდი, მისი თანამედროვე ტექნოლოგიებით და შესაძლებლობებით, ჩვენს ქვეყნებს შორის პარტნიორული ურთიერთობების დადასტურებაა. საქართველო და ამერიკა ერთობლივად მუშაობდნენ მის მოდერნიზებაზე. და მე ვამაყობ იმით, რომ 2009 წელს აშშ-მ 10 მილიონი დოლარი გამოჰყო საქართველოს სანაპირო დაცვის სამსახურის დახმარების მიზნით, რათა ის უფრო მდგრადი, დამოუკიდებელი ერთეული გახდეს და შეძლოს ქვეყნის ტერიტორიული წყლების დაცვა და პატრულირება.

სამი საპატრულო კატარღის გარდა, ჩვენ ხელი შევუწყვეთ სარემონტო ვერფის აღჭურვას, თვალყურისა და კომუნიკაციის ახალი საშუალებების დანერგვას, ასევე მაღალტექნოლოგიური საზღვაო საინფორმაციო ცენტრის შექმნას. ეს ყველაფერი ხორციელდება საქართველოს საზღვრების უსაფრთხოებისა და სუვერენიტეტის დაცვისთვის ჩვენს მიერ დაგეგმილი მხარდაჭერის ფარგლებში. ეს მოიცავს პოლიციის ახალი სანაპირო განყოფილებების შექმნას მოშორებულ ადგილებში, დოზიმეტრების დამონტაჟებას ყველა პორტში, დამატებითი მოწყობილობის გადაცემას, სასაზღვრო და შეიარაღებულ ძალთა წრთვნას, ნატოსთან კავშირების გაფართოებას როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ასევე ავღანეთში ჩვენი საერთო მისიის საშუალებით. აშშ ამ პარტნიორობის ერთგულია და მას მომავალშიც გააფართოებს".

ეს ყველაფერი საქართველოსთვის სასარგებლოა, თუმცა ის სულაც არ წარმოადგენს იმ „თავდაცვითი ფუნქციის მატარებელ იარაღს", რომლის მიღებაც სააკაშვილს სურს, კერძოდ, ტანკსაწინააღმდეგო შეიარაღებას და საჰაერო თავდაცვის სისტემას. დეტალების არცოდნის ფონზე, გაურკვეველია ისიც, თუ რამდენად წარმოადგენს სიახლეს ეს „21-ე საუკუნის წრვთნა", რომელიც უკვე გარკვეული პერიოდია, რაც მიმდინარეობს აშშ-ის მიერ იმ ქართული კონტინგენტის მომზადების ფარგლებში, რომელიც ავღანეთის ოპერაციაში მონაწილეობს. ხოლო „ნაპირების და საჰაერო სივრცის კონტროლი", როგორც ჩანს, სანაპირო დაცვის დახმარებით შემოიფარგლება, რაზეც ჰილარი კლინტონმა ისაუბრა.

მიუხედავად ამისა, თავად სააკაშვილმა, ჰილარი კლინტონის ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილების ჩამოთვლისას, პირველ რიგში ახსენა აშშ-ის მიერ გამოცხადებული პროგრამა „საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების შესახებ, რა კომპონენტებისგან შედგება, ძირითადი კომპონენტები გამოცხადდა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია".

თუმცა, კითხვა შემდეგშია: არის კი ეს ნაბიჯი გადადგმული სამხედრო თანამშრომლობის „ახალი საფეხურისკენ", რომელზეც, საქართველოს მთავრობის თქმით, ის აშშ-სთან ერთად გადადის, თუ სწორედ ეს არის ის საფეხური. (საქართველოსთვისძ ყველაზე ოპტიმისტურ ვარიანტშიც კი მათ არ უნდა მოსწონდეთ ობამას ადმინისტრაციის აშკარა სურვილი, რომ როგორმე პროცესი გააჭიანუროს.

EURASIANET.ORG

## დედამიწის ზურგზე



ტუნისის დევნილ პრეზიდენტს სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. მის მიერ აკრძალულმა ისლამისტებმა კი გააფუჭეს სანიმუშო რევოლუცია

მორიგი სასამართლოს ფარგლებში ექსპრეზიდენტი ზინ ალაბედიმ ბენ ალი გამოაცხადეს დამნაშავედ 22 დემონსტრანტის მკვლელობაში 2011 წლის იანვარში ანტისამთავრობო გამოსვლის ჩახშობის დროს. ადრე მას მიუსაჯეს 90-ზე მეტი წელი. ამ დროს ტუნისში აბობოქრდნენ რადიკალური ისლამისტები. ქვეყანა შეიძლება გაჰყვეს ლიბიის ან ეგვიპტის კვალს.

* * *

იტალიელმა მეცნიერებმა წამოაყენეს თეორია, თუ რატომ არ გადაშენდებიან გეები



ანდრეა კამპერიო ჩიანის გამოკვლევის თანახმად (პადუის უნივერსიტეტიდან), არსებობს „გეი-გენი", რომელიც გადაეცემა დედის ხაზით. სწორედ იგი ხდის მამაკაცს ჰომოსექსუალისტად. ამ დროს ქალებს იგი ხდის უფრო ნაყოფიერად და მიმზიდველად საპირისპირო სქესისთვის.

* * *

აშშ სენატმა ობამას ადმინისტრაციასა და რუსეთს არასასიამოვნო სიურპრიზი შესთავაზა. კრემლი უკვე იმუქრება ურთიერთობის გაუარესებით



სენატორებმა მიაღწიეს, რომ ჯექსონ-ვენიკის შესწორება, რომელიც ზღუდავს სავაჭრო ურთიერთობას რუსეთის ფედერაციასთან, გაუქმდება „მაგნიტსკის შავი სიის" შემოღებასთან ერთდროულად. თეთრ სახლს არ სურს მოსკოვთან ურთიერთობის გართულება, მაგრამ ვერ მიდის რისკზე, წარმოქმნას კონფლიქტი სენატთან არჩევნების წინ. რუსეთის ფედერაციაში იმუქრებიან „ადეკვატური ზომებით".

* * *

სტრასბურგის სასამართლო იწყებს რუსეთის მოქალაქეების მიერ არასწორად შედგენილი საჩივრებისთვის უარის თქმას

გამონაკლისს შეადგენენ მხოლოდ ის საქმეები, სადაც საუბარია სიცოცხლის უფლებების დარღვევებსა და წამებაზე. ვარაუდობენ, რომ ასეთმა ზომამ ხელი უნდა შეუწყოს სასამართლოს ერთნაირი ტიპის საჩივრების გადატვირთვისგან გათავისუფლებას. ექსპერტების აზრით, ახლა სასამართლომდე მივა რუსეთელთა მხოლოდ ერთეული სარჩელები.



ჩვენი საერთო სახლი

# ჭეშმარიტ ვაჟკაცთა დრო კავკასიაში

**ადიღელთა წეს-ჩვეულებები, ყოფა, ჭირი თუ ლხინი, მშობლიური აული და მისი მკვიდრნი, მათ გვერდით კი ვაჟა-ფშაველას „სტუმარ-მასპინძლის“, ალექსანდრე ყაზბეგის „ელისოს“ ილუსტრაციები — ამ და კიდევ მრავალ სხვა თემაზე შესრულებული გრაფიკული ნამუშევრები იხილა საზოგადოების იმ ნაწილმა, ვინც იმ დღეს საქართველოს „კავკასიის ფონდის“ მიწვევით ჩერქეზი მხატვრის, საზოგადო მოღვაწისა და გამორჩეული პიროვნების თეუჩეჟ ქატის გამოფენას ესტუმრა.**

თბილისის სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებული, ჩვენი სასიქადულო მხატვრის სერგო ქობულაძის ნამოწაფარი თეუჩეჟ ქატი ამ დღეებში „კავკასიის ფონდის“ მოწვევით თავის მეგობართან, ცნობილ ჩერქეზ მწერალთან **ასფარ კუიოქთან** ერთად ჩამობრძანდა და თავის ნამუშევართა სახელდახელო გამოფენაც მოაწყო.

მრავალმხრივი მხატვრის თეუჩეჟ ქატის ნამუშევართა გამოფენა, თბილისში შარშან ოქტომბერშიც გაიმართა, ასი ნამუშევარი კი მან რამდენიმე წლის წინათ მშობლიურ აკადემიას უსახსოვრა. ვერნისაჟის გახსნაზე „კავკასიის ფონდის“ თავკაცმა, ცნობილმა კავკასიოლოგმა **გივი ლამბაძემ** ქართული საზოგადოების მრავალი თვალსაჩინო წარმომადგენელი მიიწვია. იმ საღამოს მხატვარ თეუჩეჟ ქატსა და მწერალ ასფარ კუიოქს გულთბილად მიესალმნენ ქართული შემოქმედებითი ინტელიგენციის წარმომადგენლები, მხატვრები, პოეტები, კავკასიოლოგები, ენათმეცნიერები, ჟურნალისტები.



„ქერიასთან“

— მეგობრები შორს კი არა, შენს სიახლოვეს უნდა ექიო მუდამ, — ესაა იგავის სიბრძნე, რომლითაც ჩერქეზ შემოქმედებს საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარემ **მაყვალა გონაშვილმა** მიმართა და დასძინა, რომ გამოფენა ერთმანეთის გაცნობაში უკეთ დაგვეხმარება, რომ ხელოვნების მნიშვნელოვანი ფუნქციაც ესაა. მეტად საგულისხმო იყო ქალბატონ მაყვალას მოსაზრება მთელი კავკასიის მწერალთა და მხატვართა შემოქმედების „ერთი ყდის“ ქვეშ მოქცევის თაობაზე, ერთ დიდ წიგნად შეკვრა და მსოფლიოს წინაშე მთლიანად კავკასიური კულტურის ერთიანად წარმოჩენა.

— უბედურებაა, რომ საქართველოს ჩრდილოეთ კავკასია ერთგვარად „დაეკარგა“ და ახლა ჩვენ ერთობლივად უნდა ვიზრუნოთ დაკარგულ კავშირთა აღდგენაზე, — აღნიშნა ქართულ-ჩერქეზული ფონდის თავმჯდომარემ **მერაბ ჩუხუამ,** რომელმაც ხაზი გაუსვა იმას, რომ საქართველოს მოსაზღვრე, ფაქტობრივად, არა რუსეთის ფედერაციაა, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ხალხები და, რაც მეტად მნიშვნელოვანია, მთლიანად კავკასია არა მარტო ისტორიულ-კულტურული ფასეულობებისადმი მიდგომით, არამედ მენტალურადაც ერთიანი სივრცეა.

მხატვრის შემოქმედებაზე საუბრისას ენათმეცნიერმა **ცირა ბარამიძემ** განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია მის უმძაფრეს




თეუჩეჟ ქატის ნამუშევართა კატალოგი

ემოციურობასა და მთელ მსოფლიოში მიმოფანტულ ჩერქეზთა მამა-პაპათა მიწა-წყალზე შეერთების გარდუვალობის მის რწმენას. მან ასევე ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხატვრის პალიტრის ფერადოვნების მიუხედავად, მთელი დატვირთვა მაინც შავ-თეთრის დაპირწონებაზე, ანუ სიკეთისა და ბოროტების დაპირისპირებაზე მოდის, თუმცა სინათლე მაინც ჭარბობს, რომელიც ჩერქეზთა რაინდობას, ვაჟკაცობას, სულიერ ეთიკასა და ეროვნულ ენერგიას უკავშირდება.

ცალკე აღსანიშნავია თეუჩეჟ ქატის მიერ თბილისურ სტუდენტურ წლებზე დაწერილი უდიდესი მადლიერებით განმსჭვალული წიგნი, რომლის შესახებ დამსწრეთ მხატვარმა **გიორგი წერეთელმა** მოუთხრო, ენათმეცნიერმა **ვაჟა შენგელიამ** ჩერქეზ მხატვართან ძველ მეგობრობაზე ილაპარაკა, ხოლო ჟურნალისტმა **ივანე ჯაფარიძემ** კი კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი კავკასიელთა ფუძის ერთიანობას და ამ საძირკვლის გამაგრების აუცილებლობას.

დიდი ემოციურობით იყო გამორჩეული ორი დიდებული ქალბატონის — ჭედური ხელოვნების ჩინებული ოსტატის **მანანა მაგომედოვასა** და იჩქერიის პირველი პრეზიდენტის ჯოჰარ დუდაევის ქვრივის **ალა დუდაევას** გამოსვლები. ქალბატონმა მანანა მაგომედოვამ თავის ორი სამშობლოსადმი — დაღესტნისა და საქართველოსადმი სიყვარულზეც ილაპარაკა:

— ქართული ენა ისეთი ლამაზია, იგი ყველა კავკასიელმა აუცილებლად უნდა იცოდეს, — თქვა ჭარმაგმა შემოქმედმა.

ქალბატონმა ალა დუდაევამ მხატვრის შემოქმედებაში მისთვის ნაცნობი და გათავისებული სახეები, ცხოვრებისა და ყოფის ნათესაური რიტმიკა დაინახა, რომელიც მთელი კავკასიისთვის ერთიანია. ამასთან მას არც გულისტკივილი დაუფარავს:

**— სამწუხაროა, რომ კავკასიაში დასრულდა ჭეშმარიტ ვაჟკაცთა დრო, — გაუზიარა მან დამსწრეთ გულის ბოლმა, თუმცა იმის იმედიც გამოთქვა, რომ კეთილი ძალები ბოლოს მაინც გაიმარჯვებენ.**

ახლო მომავალში თბილისში კავკასიელ მხატვართა მასშტაბური გამოფენა გაიმართება, რომელში მონაწილეობის მისაღებად თეუჩეჟ ქატი, პირველი ადიღელი სახალხო მხატვარი, პერსონალურადაა მიწვეული.

**— ცოტ-ცოტას ქართულად ვილაპარაკებ, ცოტ-ცოტასაც ჩერქეზულად, ნელ-ნელა კი რუსულად, — ამ ცოტა არ იყოს მწარე იუმორით დაიწყო თავისი სიტყვა თეუჩეჟ ქატმა. — ღიად თუ ფარულად ჩვენ ყველანი საქართველოში, თბილისში მოვისწრაფოდით, ჩვენი ერი მუდამ განიცდიდა ქართული კულტურის ზეგავლენას. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს გუშინ წავედი თბილისიდან, სადაც ახალგაზრდობის დაუვიწყარი წლები გავატარე. კავკასიის ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის არავითარი სულიერი განსხვავება არ არის — ქალის ჩაგდებული მანდილი ვაჟკაცებს ყველგან ერთნაირად აშეშებს, მაგრამ ყოველივეს მოფრთხილება, რუდუნებით მოვლა-პატრონობა უნდა. საქართველოში, რომელიც მთელი კავკასიის ხერხემალია, მე არა როგორც სტუმარი, არამედ როგორც შვილი ჩამოვდივარ,** — თქვა ბოლოს ჩერქეზმა მხატვარმა.

კავკასია, ღმერთების ქვეყანა, ორმოცდაცამეტი ერისა და ეროვნების სინთეზი, დღესდღეობით დიდი საფრთხის ქვეშაა. ამიტომ ამ უმძაფრესი გამოწვევების გასამკლავებლად კავკასიელებს აუცილებლად ერთიანობა სჭირდებათ.

**ოთარ ტურაზელიძე**

წარდგინება

# როდის ცოცხლდებიან გაქვავებული ყვავილები?

**თამარ გაბროშვილის ლექსების ახალი კრებულის „ქრიზთას ანთოლითების“ წარდგინება გაიმართა სოციალური თერაპიის სახლში, რომელიც არასამთავრობო ორგანიზაციის „კავშირი ადამიანებისთვის განსაკუთრებულ ზრუნვას რომ საჭიროებენ“ შემადგენლობაშია.**

აქ შექმნილია ადამიანური, გულითადი ატმოსფერო, სადაც ყველა ერთმანეთზე უანგაროდ ზრუნავს, სადაც პატივს სცემენ და იცავენ ერთმანეთის უფლებებს, საკუთარ უნარებს თავისუფლად შლიან. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს საკუთარი წვლილი შეაქვთ ერთობლივ ცხოვრებაში, ჩართულნი არიან შრომით, მხატვრულ თერაპიულ და კულტურულ საქმიანობებში, აქვთ სახელოსნო, საქსოვი, სადურგლო, მინი სტამბა-საამკინძაო, სანთლების შემოქმედებითი და გადასამუშავებელი სახელოსნოები, ბაღი და სამზარეულო.




სახელოსნოებში მზადდება პროდუქცია, რომელიც ნამდვილად ხარისხიანი, გამოსადეგი და საჭიროა ადამიანებისთვის.

თამარ გაბროშვილი ესწრებოდა საგანმანათლებლო ბაზისურ კურსს სოციალურ თერაპიაში. იქ გამეფებულმა სანდო და შემოქმედებითი უნარებისადმი ფაქიზმა დამოკიდებულებამ გადააწყვეტინა 30 წლის ნაამაგარი, სულის ჩიტებით და ყვავილებით მოქარგულ-მოხატული პოეზია სწორედ აქ, გამომცემლობა „ანმყოში“ დაბადებულიყო წიგნად. გამომცემლობის მენეჯრმა გიორგი გაგანაშვილმა არაფერი დაიშურა, რომ წიგნი ისეთი გამოსულიყო, როგორც ავტორს სურდა. მასთან ერთად მუშაობაში ჩართული იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები, რომლებიც ყველა ფურცელს ეფერებოდნენ მუშაობის დროს.

სიტყვით გამოვიდა წიგნის რედაქტორი ლელა მეტრეველი, მწერლები: ნონა გიორგაძე, თამარ შაიშმელაშვილი, ზურაბ თორია...

თამარ გაბროშვილმა საკუთარი ლექსები წაიკითხა.

თამარის შვილებმა ქეთევან და ბარბარე ასანიძეებმა მუსიკალური ნაწარმოებები შეასრულეს ვიოლინოსა და გიტარის თანხლებით და სიმღერით გაალამაზეს საღამო.

ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარემ, ქალბატონმა მარინა ბულიამ დიდი მადლობა გადაუხადა პოეტს და დამსწრე საზოგადოებას. აღნიშნა, რომ სოციალური თერაპიის სახლისთვის დიდი თანადგომაა, როცა საზოგადოება გამოხატავს ინტერესს, ითანამშრომლოს იმ ორგანიზაციასთან, სადაც ხდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა განვითარება, მათი წვლილის აღქმა. ისინი დიდი სიამოვნებით გამოსცემდნენ სხვა მწერლების წიგნებსაც. მათი კარი ღია იქნება პოეზიისა და მუსიკის საღამოებისთვის.

— თამარ გაბროშვილის წიგნს ყვავილები ჰქვია, — თქვა ქალბატონმა მარინამ. საღამოს დასასრულს, თავიანთ ბაღში დაკრეფილი თაიგული ორგანიზაციის სახელით თამარს და მის შვილებს გადასცეს ლენა რაზგოევამ და ნინო კუპატაძემ. თამარ გაბროშვილმა აღნიშნა, რომ მისი შემოქმედება დიდი პაპის გრიგოლ გლურჯიძის მოღვაწეობის გაგრძელებაა, რომელიც მე-19-20 საუკუნეთა მიჯნაზე სასულიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, წერდა ლექსებს. მისი ამაღლებული გრძნობებიც რეალობაზე იყო დაფუძნებული. „ერთხელ მამამ, 19 წლის რომ ვიყავი, ლექსი დამიწერა — „ყვავილებმა გშობეს თამარ, არ დაკარგო, გქონდეს თანა!“ მამა შარშან გარდაიცვალა ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში მინდვრის ყვავილთა შორის. დედა-ივლიტამ კი ერთხელ ქვა იშვილა და გაიცოცხლა, რომელმაც თან მოიყოლა ანთოლითები, ანუ გაქვავებული ყვავილები. ქვადმყოფობიდან ადამიანურობამდე გაცოცხლების გზა — ეს დიდი სიყვარულის, უფლამდე მისასვლელი გზა, რომელიც თანდათან უფრო გაღრმავებულს, ამაღლებულს, ბედნიერსა და სხვათა მსახურების ღირსს გხდის. წიგნშიც ეს გზაა მოცემული. ამ გზაზე დაკრეფილ თაიგულად შეკრული ლექსები მამის ხსოვნას მივუძღვენი.



**ნონა გიორგაძე, თამარ გაბროშვილი.**

ეს თამარ გაბროშვილის მეოთხე კრებულია, რომელიც პოეტის შემოქმედების შემაჯამებელი წიგნია და სამ კრებულს აერთიანებს. ამ წერილსაც მისი ლექსით დავამთავრებ:

**„ვერ გაგაბრუებ, თუმცა, სურნელით,**
**ვერც სილამაზით — ფერუმარილით,**
**ვერ აგაფეთქებ, ვიცი, აპრილით,**
**ველარც გააპობს ღიმილს არილი,**
**— ჩამოწყვეტილი ზეცის ამბორად,**
**მე — ქვის ყვავილი, შენთან ამოვალ!“**

**თამარ შაიშმელაშვილი.**

ინფორმაცია

## საქართველოში 5 ახალი საბუნებისმეტყველო სამაგისტრო პროგრამა დაინერგება

**როგორც „ინტერპრესნიუსს“ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტიდან აცნობეს , ამასთან დაკავშირებით „გერმანულ სახლში“ გარემოს დაცვის მინისტრი გოგა ხაჩიძე, ილიას სახელწიფო უნივერსიტეტის რექტორი გიგი თევზაძე, გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახური (DAAD) და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) პროგრამების დირექტორი ფრენკ ფლაშე ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმს გააფორმებენ.**

**მემორანდუმის მიზანია გარემოსდაცვითი ფაკულტეტების პოპულარიზაცია, ეკოლოგიისა და მეტყევეობის დარგების მიმართულებით უმაღლესი განათლების გაუმჯობესება.**

**ხელშეკრულების მიხედვით, საქართველოში DAAD-ისა და GIZ-ის მხარდაჭერით ახალი საბუნებისმეტყველო სამაგისტრო პროგრამები დაინერგება. პროგრამა სხვადასხვა აკადემიურ კვალიფიკაციას მოიცავს. გარემოს დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაინტერესებულ პირებს ხუთი საბუნებისმეტყველო სამაგისტრო პროგრამის შესწავლა შეეძლებათ: მეცნიერებათა მაგისტრი (MSC) ეკოლოგიის, მეტყევეობისა და ბუნებრივი რესურსების მიმართულებით, ასევე, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი (MBA) მეტყევეობისა და ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვის სფეროში. ამ მიზნით, საქართველოს დასავლური უნივერსიტეტების პროფესორებიც ეწვევიან.**

◉ „ევრო — 2012“

# აკი ბუნტიაო!..



**ევროპის ჩემპიონატის სტარტიდანვე ყურები გამოგვიჭედეს ინფორმაციით — პორტუგალიის ნაკრები ბანაკებად დაიყო და საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ გუნდის ლიდერები — რონალდუ და ნანი ხმას არ სცემენ ერთმანეთსო.**

ჭორ-მართალი განსაკუთრებით მას შემდეგ აირია ერთმანეთში, რაც ჯგუფური რაუნდის პირველი შეხვედრის წაგების შემდეგ კრიშტიანუ, დანარჩენ პარტნიორთაგან განსხვავებით, მადლობის გადასახდელად თანამემამულე გულშემატკივართა ტრიბუნასთან არ მივიდა და პირდაპირ გასახდელში დურთა თავი.

რას იზამ — ჭირვეული ვარსკვლავი, არაორდინარული ხასიათის გამო, მადრიდის გარდა, სადაც „რეალის“ შემადგენლობაში წლეულს ფანტასტიკური სეზონი ჩაატარა, თითქმის არსად უყვართ, თუმცა, როგორც მეორე ტურში დანიელებთან გადატანილმა ძლევამოსილმა ბრძოლამ დაადასტურა, ლუზიტანიელები თავიანთი ყოჩის ხუშტურების მიუხედავად, მაინც მრისხანე ძალას წარმოადგენენ და, ალბათ, პლეი-ოფშიც გააღწევენ, იქ კი...

**პორტუგალია — დანია 3:2 (2:0)**

**გოლები:** პეპე, პოსტიგა, ვარელა; ბენდტნერი (2ძ.

თამაშის მიმოხილვისას ერთმა ჩვენმა ჭკუისკოლოფა კოლეგამ პირენეელთა თავკაცის დასამცირებლად განაცხადა — ისეთი სუსტი მწვრთნელია, გინდა ჰყოლიათ მის შეგირდებს, გინდა არაო. კი მაგრამ, თუ ასეა, რა ვუყოთ გათამაშების ერთ-ერთ უმთავრეს ფავორიტთან — გერმანიასთან სადებიუტო შერკინებაში ღირსეულად გამკლავებას ან ჩრდილოელებთან უმნიშვნელოვანესი დუელის მიწურულს ამ ახალგაზრდა სპეციალისტის მიერ განხორციელებულ ცვლილებებს, რამაც მის ბიჭებს შესვენების შემდეგ ხელიდან გაქცეული სადავეების დაბრუნების საშუალება მისცა, გადამწყვეტი გოლი კი სულაც სარბიელზე რამდენიმე წუთის წინათ შესულმა ვარელამ გაიტანა.

**გერმანია — ჰოლანდია 2:1 (2:0)**

**გოლები:** გომესი (2ძ; ვან პერსი.

ტრადიციისამებრ, ყოველ ფორუმს ჰყავს რომელიმე ჩაფლავებული გრანდი. ეტყობა, პოლონურ-უკრაინულ ტურნირზე აღნიშნული როლის შესრულება „ნარინჯისფერებმა“ იტვირთეს, არადა, სიკვდილის ჯგუფში მოხვედრის მიუხედავად, ძნელად თუ ივარაუდებდა ვინმე, რომ უმაღლესი დონის სოლისტებით გაძეძგილ ჰოლანდიის ნაკრებს, რომელმაც უდანაკარგოდ განვლო შესარჩევი ეტაპი, სამშობლოში ნაადრევად დაბრუნება მოუწევდა.



რაც შეეხება ბუნდესმანშაფტს, მან ამჯერადაც ჩვეულ სტილში იმძლავრა, თანაც ჩინებულად ისარგებლა მოწინააღმდეგის აქილევსის ქუსლით — დაცვის მარცხენა ფლანგით, სადაც ბერტ ვან მაარვიკმა ნდობა 18 წლის ჭაბუკ ვილემსს გამოუცხადა. ეს უკანასკნელი შეტევებში კი ერთვებოდა აქტიურად, მაგრამ უშუალო მოვალეობას თავი ვერ გაართვა და ლოგიკურიცაა, გერმანიამ ორივე საგოლე ოპერაცია მისი ზონიდან რომ განახორციელა. აღსანიშნავია ისიც, რომ გომესმა „დუბლი“ შვაინშტაიგერის ზუსტი გადაცემებით შეასრულა და ბომბარდირთა დავაში ძაგოევს (რუსეთი) დაეწია.

**გერმანია — 6, პორტუგალია, დანია — 3-3, ჰოლანდია — 0 ქულა.**

**17 ივნისს დასკვნით ტურში ითამაშებენ:** გერმანია — დანია, პორტუგალია — ჰოლანდია.

**გიორგი შოთაძე**

◉ რეაქცია

# ფიფამ აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით პოზიცია გამოხატა

**ფიფამ ოფიციალური საერთაშორისო საფეხბურთო მატჩების ორგანიზების შესახებ აფხაზეთის ე.წ. ფეხბურთის ფედერაციის სურვილთან დაკავშირებით პოზიცია დააფიქსირა.**

როგორც საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (სფფ) განცხადებაშია ნათქვამი, სფფ-მ 25 მაისს ფიფას პრეზიდენტს იოზეფ ბლატერს ოფიციალური წერილით მიმართა, რომელიც ფეხბურთში ოფიციალური საერთაშორისო მატჩების ორგანიზების შესახებ აფხაზური მხარის უკანონო სურვილს შეეხებოდა.

„სფფ-მ მკაფიოდ დააფიქსირა ქართული მხარის პოზიცია; ქართული მხარე მთლიანად გამორიცხავს საქართველოს რეგიონის — აფხაზეთის ფიფას იურისდიქციაში შესვლას და ამ რეგიონის ნაკრების მიერ ფიფას ეგიდით საერთაშორისო მატჩებში მონაწილეობას. აღნიშნულ წერილს მოჰყვა ფიფა-ს უმაღლესი პირების რეაქცია. კერძოდ, სფფ-მ მიიღო ფიფას გენერალური მდივნის ჟერომ ვალკეს ოფიციალური წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ ფიფას „აფხაზეთის რესპუბლიკისგან საერთაშორისო მატჩების ჩატარებასთან დაკავშირებით არანაირი სახის ოფიციალური განაცხადი არ მიუღია“, — ნათქვამია განცხადებაში.

სფფ-ს ინფორმაციითვე, წერილში აღნიშნულია, რომ კოსოვოს შემთხვევა, რომლითაც აფხაზური მხარე ხშირად აპელირებს, რადიკალურად სხვა სახის გარემოებაა, რომელიც აფხაზეთის საქმის ანალოგიას არ წარმოადგენს და ფიფას მიერ იდენტური გადაწყვეტილების მისაღებ მაგალითად არ გამოდგება.

სფფ მსოფლიო საფეხბურთო ოჯახის მთავარი ორგანოს პოზიციას მიესალმება და იმედს გამოთქვამს, რომ მსგავსი ტიპის უკანონო მოთხოვნები, აფხაზეთის, როგორც საქართველოს განუყოფელი რეგიონის მხრიდან აღარ დაფიქსირდება.

◉ რაგბი

# მეთოთხმეტეზე ალზევდნენ

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრები (მიხეილ ნარიაშვილი, რევაზ ბელქანია, ირაკლი მირცხულავა, შალვა მამუკაშვილი, დავით ზირაქაშვილი, ლევან ჩილაჩავა, ვახტანგ მაისურაძე, გიორგი ჩხაიძე, დავით ჩიტიძე, გივი ბერიშვილი, ზვიად მაისურაძე, გიორგი თხილაიშვილი, ბექა ბიწაძე, გია ლაბაძე, ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, გიორგი ბეგაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ლაშა ხმალაძე, ლაშა მალაღურაძე, დავით კაჭარავა, თედო ზიბზიბაძე, ირაკლი მაჩხანელი, მერაბ შარიქაძე, ლექსო გუგავა, სანდრო თოდუა, ირაკლი ყიასაშვილი, ბექა წიკლაური) ახალზელანდიელი მთავარი მწვრთნელის მილტონ ჰეიგის ხელმძღვანელობით ამერიკაში იმყოფება. „ბორჯღალოსნები“ 17 ივნისს დენვერში ამერიკის შეერთებული შტატების ნაკრებს დაუპირისპირდებიან, 23 ივნისს კი ვანკუვერში კანადელებთან გაარკვევენ ურთიერთობას. შარშან თბილისში საქართველოს ნაკრებმა ორივე გუნდი დაამარცხა. მასპინძლები ამჯერად რევანშისთვის ემზადებიან.**



ოკეანის გაღმა ქართველთა პაექრობებში ჩაზმამდე ამომავალი მზის ქვეყნის წარმომადგენლებმა წყნარი ოკეანის აუზის თასზე ორი შეხვედრა წააგეს: ფიჯისთან — 19:25 და ტონგასთან — 20:24, რამაც იაპონელები IRB-ის რეიტინგში 68,34 ქულით მე-16 ადგილამდე ჩამოაქვეითა, სამაგიეროდ, საქართველო 70,26 ქულით მე-14 ადგილზე ალზევდა. უახლოეს მეტოქეთაგან აშშ 65,63 ქულით მეჩვიდმეტეა, ხოლო კანადელებს მე-13 საფეხური (72,92ქ) უკავიათ. **პირველ ათეულში კი ასეთი მდგომარეობაა:** 1. ახალი ზელანდი (91,4ქ, 2. ავსტრალია (86,42ქ, 3. სამხრეთ აფრიკა (84,97ქ, 4. ინგლისი (82,99ქ, 5. უელსი (82,89ქ, 6. საფრანგეთი (81,91ქ, 7. არგენტინა (80,36ქ, 8. ირლანდია (79,85ქ, 9. სამოა (77,23ქ, 10. ტონგა (76,19ქ.

ნოემბერში „ბორჯღალოსნები“ იაპონელებსა და ფიჯელებს უმასპინძლებენ.

**გივი გაგუა**

◉ ნიჭი, ძამიკო, ნიჭი!

# შენგელიას ნბა-სკენ მწვანე შუქი აუნთეს

**იტალიის ქალაქ ტრევიზოში გამართული საკალათბურთო კემპი საქართველოს ეროვნული ნაკრების ახალგაზრდა ფორვარდ თორნიკე შენგელიას სრული ტრიუმფით დასრულდა. შეგახსენებთ, რომ კემპის საწყის დღეს შენგელიამ 20 წუთში 9 ქულა და 5 მოხსნა მოაგროვა, მას შემდეგ კი საერთოდაც შეუჩერებელი გახდა. ქართველი კალათბურთელი „გუნდი 4“-ის ღირსებას იცავდა და მინი-ტურნირის მე-2 დღეს მე-3 გუნდის წინააღმდეგ მოგებულ (48:44) მატჩში 20 წუთს გაისარჯა. „თოკო“ სასტარტო შემადგენლობაში იყო და მოედანზე 20 წუთი დაჰყო, რა დროშიც 4 ქულა, 1 მოხსნა და 1 ჩაჭრა მიითვალა.**

დღის ბოლოს თორნიკე „ყველა ვარსკვლავთა“ გუნდში ჩართეს, რომელმაც ავსტრალიის სპორტის ინსტიტუტის ნაკრები 75:46 გაანადგურა, ქართველი ფორვარდი კი თამაშის გმირი გახდა. შენგელია კვლავ სასტარტო ხუთეულში გახლდათ და 22 წუთში 20 ქულა (!ქ, 9 მოხსნა (4 მეტოქის ფარზექ, 3 ჩაჭრა, 1 პასი და 1 პასი დააგროვა. მოკლედ, ორმაგ დუბლამდე ერთადერთი მოხსნა დააკლდა.

ტრევიზოს კემპის ბოლო დღე 12 ივნისი გახლდათ და ისიც შენგელიას ბენეფისად იქცა. მისმა გუნდმა „გუნდი 2“ 66:27 გაანადგურა და ერთადერთ კოლექტივად დარჩა, რომელმაც ტურნირი დაუმარცხებლად დაასრულა.

შენგელიამ 20 წუთში 12 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა და ერთბაშად 5 პასი მიითვალა. ქართველი კალათბურთელის შედეგიანობის კოეფიციენტმა 20-ს უწია, რაც მატჩში კვლავ საუკეთესო შედეგი გახლდათ.

გასაკვირი არ ყოფილა, რომ ასეთი მონაგრის შემხედვარე, შენგელია „ოლ სტარში“ კიდევ ერთხელ ჩართეს და არც შემცდარან. „ყველა ვარსკვლავთა“ გუნდმა საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრები 66:60 დაამარცხა, სასტარტო ხუთეულში გამორჩენილმა ქართველმა ვარსკვლავმა კი 23 წუთში 16 ქულა, 4 მოხსნა, 2 ჩაჭრა და 1 პასი მიითვალა. შედეგიანობის კოეფიციენტის (12ქ მიხედვით, ქართველი კალათბურთელი თანაგუნდელთაგან მხოლოდ ჩეხ დავიდ იელინეკს (20ქ ჩამორჩა, რომელმაც 21 ქულა მიითვალა.

საერთო ჯამში, შენგელიამ იტალიურ კემპზე, რომელსაც ნბა-ს სკაუტები მრავლად ესწრებოდნენ, ხუთი მატჩი ჩაატარა და მის გუნდებს არცერთხელ წაუგიათ, ქართველი ფორვარდის საშუალო მონაგარი კი 12.2 ქულა გახლდათ, რაც ტრევიზოში არსებული უდიდესი კონკურენციის გათვალისწინებით, ჩინებული მაჩვენებელია.

შეგახსენებთ, რომ შენგელია 28 ივნისს ნიუ ჯერსიში დაგეგმილ ნბა-ს კემპში მიიღებს მონაწილეობას, იტალიური ბატალიების შემხედვარე კი, იმის შანსი, რომ მას პლანეტის უძლიერესი ლიგის რომელიმე კლუბი თუნდაც მე-2 რაუნდში აიყვანს, საგრძნობლად გაიზარდა.




ტრევიზოში გამართულ ნბა-ს კემპზე თორნიკე შენგელიას ჩინებული თამაში შეუმჩნეველი არც მის ორგანიზატორებს დარჩენიათ. შედეგად, ტურნირის უძვირფასესი მოთამაშის (MVPქ გამოკითხვაში, ქართველი კალათბურთელი მხოლოდ უკრაინელ ოლექსანდრ ლიპოვს ჩამორჩა, საუკეთესო მძიმე ფორვარდის ტიტული კი არავის დაუთმო.

სააგენტო DraftExpress-მა, რომელიც შენგელიას კემპის MVP-ს წოდებას აქტიურად უწინასწარმეტყველებდა, ყველაზე მეტი დრო სწორედ ქართველის შესახებ საუბარს მიუძღვნა და მას არაერთი კომპლიმენტი უძღვნა.

აღსანიშნავია, რომ ქართველ კალათბურთელს ფენომენური ფიზიკური მონაცემები სულაც არ გააჩნია, თუმცა სისწრაფე, გამძლეობა და ამ თვისებების მოძრაობაში გამოყენება მძიმე ფორვარდის პოზიციაზეც კი მას შეუდარებელს ხდის. სხარტი მოძრაობების შემდეგ შენგელიას ჩატენვები კემპის ერთ-ერთ მშვენებად იქცა, მისი პოტენციალი კი პირველივე დღიდან იგრძნობოდა, როდესაც მან მოედანზე შეაბიჯა.

ქართველ ფორვარდს ძალიან სწრაფი საწყისი ნაბიჯები აქვს და შესაბამისად, შეტევაში უპირატესობასაც თავადვე იქმნის. ამიტომაც იყო, მის წინააღმდეგ ერთი ერთზე გამკლავება ძალიან რომ ჭირდა. თორნიკეს საშუალო დისტანციიდან სროლა გასაუმჯობესებელი აქვს, თუმცა ტრევიზოში ამ მხრივაც ყველაფერი რიგზე იყო. გარდა ამისა, შენგელია გაცილებით უკეთესი იყო დაცვაში, ვიდრე ეს სეზონის დასაწყისში ბელგიური „შარლერუას“ რიგებში ხდებოდა.

ცხადია, ქართველი ფორვარდის გარჯას უნაკლო ნამდვილად არ ეთქმის და მან უპირველეს ყოვლისა, სროლის პროცენტი, ფარზე თამაში და დაცვაში ასპარეზობა უნდა დახვეწოს, თუმცა, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ მან ნბა-ს კემპზე ჩამოსულ კალათბურთელებს შორის ნამდვილი პროფესიონალის შთაბეჭდილება დატოვა. შენგელიამ საოცარი პროგრესი განიცადა და ნბა-ს დონის მოთამაშისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა. კემპის დასკვნით დღეს, „ყველა ვარსკვლავთა“ გუნდის მაისურით, მისი საფრანგეთის ახალგაზრდული ნაკრების წინააღმდეგ თამაში, მთელი ტურნირის გამორჩეული სანახაობა იყო“.

◉ ჭიდაობა

# ხორვატეთში — ევროპის დასალაშქრად

**ზაგრებში 19-24 ივნისს ახალგაზრდა მოჭიდავეთა ევროპის პირველობას უმასპინძლებს. საქართველოს ნაკრები ორივე სახეობაში სრული შემადგენლობით იასპარეზებს. „თავისუფლების“ მთავარმა მწვრთნელმა ნუგზარ სხირელმა ხორვატეთში გასამგზავრებლად ასეთი შემადგენლობა შეარჩია:** ბექა ბუჯიაშვილი (50ქ, ლაშა ტალახაძე (55), ლევან ქელეხსაშვილი (60), კონსტანტინე ხაბალაშვილი (66ქ, ჯუმბერ ყველაშვილი (76ქ, სანდრო ამინაშვილი (84ქ, ომარ გუსოშვილი (96ქ, გენო პეტრიაშვილი (120ქ. შარშანდელი გუნდიდან, რომელმაც ევროპაზე 6 მედალი (ვლადიმერ ხინჩეგაშვილი და დავით მარსაგიშვილი — ოქრო, ბექა პეტრიაშვილი — ვერცხლი, თენგიზ ჩოჩიშვილი, თედო ებანოიძე, გენო პეტრიაშვილი — ბრინჯაოქ მოიპოვა, ნაკრებში მხოლოდ გენო პეტრიაშვილია დარჩენილი. საგულისხმოა, რომ ხინჩეგაშვილი და მარსაგიშვილი ლონდონის ოლიმპიურ თამაშებში მოსინჯავენ ძალებს.



ვლადიმერ ადეიშვილმა „კლასიკოსთა“ ნაკრებში თავის გამოჩენის საშუალება დავით სანიკიანს (50ქ, რამაზ სურმანიძეს (55ქ, ფირუზ წულუკიძეს (60ქ, გიორგი დავითაიას (66ქ, ლაშა გობაძეს (74ქ, რობერტ ქობლიაშვილს (84ქ, იაკობ ქაჯაიას (96ქ და ლევან არაბულს (120) მისცა. 2011 წელს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთაგან ევროპაზე ვერცხლის მედლები ნიკოლოზ ცეცხლაძემ და საჩინო დავითაიამ დაიმსახურეს, ხოლო ზურაბ დათუნაშვილი, რომელიც, სავარაუდოდ, ბრიტანეთის დედაქალაქში გაემგზავრება, და სანდრო დიხამინჯია „ბრინჯაოებს“ დასჯერდნენ.

**ლექსო ცინცაძე**

◉ რედაქციისთვის ნაჩუქარი წიგნები

## ორსტროფიანი ხუთასი ლექსი...

**ცნობილი ქართველი პოეტისა და პროზაიკოსის ნუგზარ წერეთლის ახალ კრებულში საერთო სათაურით „დიდი სათქმელი მოკლედ“, ანუ ორსტროფიანი ხუთასი ლექსია შესული. ეს არის თითქმის სამოცი წლის განმავლობაში შექმნილი ორსტროფიანი ლექსების მშვენიერი და ჩამაფიქრებელი ნაკრები. წიგნი სხვადასხვა პოეტური კრებულებიდან ამორჩეულ ლექსებთან ერთად დღემდე გამოუქვეყნებელი ლექსებითაა შევსებული.**




ამ ლექსებში მკვეთრად მომხიბლავი ფერებით ჩანს სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული, რაც პოეტს საკუთარი ცხოვრების ნიშანსვეტად მიაჩნია.

**თუკი სადმე ვარ, თუკი სადმე ვარ,**
**დღეებს თუშური მატყლივით**
**ვართავ,**
**სულ სხვანაირი თოვლი მადნება,**
**სულ სხვა სამყაროს წესები**
**მმართავს.**
**ის დროებითი სხვაგან სტუმრობაც,**
**მითითებს რომ ვარ გერი**
**სხვა ერის,**
**და ბედნიერი მაშინ უფრო ვარ,**
**როცა მამულის ვსუნთქავ ჰაერით.**

ნუგზარ წერეთლის ახალი წიგნი „დიდი სათქმელი მოკლედ“ უთუოდ საინტერესო ლიტერატურული მოვლენაა, რაც მაღალი დონის პოეზიითაა განპირობებული.

## ლექსია ჩემი თავშესაფარი




**დიახ, ლექსი იყო და რჩება თენგიზ სვანიძის ჭეშმარიტ თავშესაფრად. ამას ღაღადებს კიდეც ერთგან უკვე 75 წლის პოეტი. ეს ლექსი ჩვენი აზრით ერთ-ერთი საუკეთესოა ბატონი თენგიზის ახალ კრებულში — „მარტო მიწაზე არ მიცხოვრია“.**

**ლექსია ჩემი თავშესაფარი,**
**გადახურული ნისლისფერ ისლით,**
**და როს ავდრდება,**
**მეჩვენება: ზედ გულზე მაწვიმს.**
**და ვჩქარობ, ვჩქარობ, —**
**გადავხურო ზამთრის მოსვლამდე.**
**ლექსია ჩემი თავშესაფარი!**

ვულოცავთ დაბადების 75 წლისთავს თენგიზ სვანიძეს და ვუსურვოთ კვლავაც ასეთი კარგი ლექსებით სავსე კრებულების გამოცემა.

## ტკივილიანი სათქმელი — ლექსად

**გამორჩეული პუბლიცისტისა და პოლიტიკოსის ვალერი კვარაცხელიას პირველ მოთხრობებს, მართლაც ინტერესით შევხვდით. დახვეწილი სტილი, ტკივილიანი სათქმელი, დარდი სამშობლოს ბედ-იღბალზე... თანაც ნიჭიერად ნათქვამი...**




...და აი, მისი ახალი კრებული, რომელშიც უკვე ვალერის ლექსებია თავმოყრილი... **„რაც პროზად ვერ ვთქვი“** დაურქმევია მისთვის ავტორს და მიზეზსაც გვეუბნება: „ალმოსავლური ნათქვამია: ყველაზე საუკეთესო იარაღი ისაა, რომელიც კრიტიკულ სიტუაციაში ხელთ აღმოგაჩნდება. იმ ნათქვამისა არ იყოს, მეც ავდექი და ის იარაღი გამოვიყენე, ამა თუ იმ განწყობის მოძალებისას, ხელთ რომელიც აღმომაჩნდა. კარგად „მოუქნევია“ თავისი „იარაღი“, თავისი „ხმალ-კალამი“ ჩვენს ვალერის. ლექსების უმრავლესობა ბოლო ათწლეულშია შექმნილი, სამშობლო, მისი წარსული და დღევანდელობა... ლირიკა უნაზესი და გულში ჩამწვდომი...

შესანიშნავია, ძმაო, ვალერი!

**ვილენ მარდალეიშვილი**

◉ მადლიერება

# წუთისოფლის მასპინძელი

## მე ირაკლი ანდრიაძის გვერდით ვმუშაობდი



**წმიდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის ფონდის თავმჯდომარეს, საავტორო ჯგუფის ხელმძღვანელს, საინჟინრო აკადემიის აკადემიკოს ირაკლი ანდრიაძეს დღეს 82 წელი შეუსრულდებოდა. მისი ამქვეყნიური ღვაწლის შესახებ ბევრი დაიწერა და მომავალშიც ბევრი ითქმება.**

სახელმწიფო მართვის სტრუქტურებში ხანგრძლივი მუშაობის პერიოდში ბატონი ირაკლი ანდრიაძის მსგავსი პიროვნება იშვიათად შემხვედრია. მისი, როგორც ხელმძღვანელის წარმატების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად ვთვლი ადამიანებთან ურთიერთობის განსაკუთრებულ უნარს. ის ხელმძღვანელობდა პრინციპით: „გახსოვდეს ყოველთვის, რომ შენ მმართველი ხარ და არა მეხრე“. მან შექმნა სანიმუშო მმართველის ტიპი, რომელიც კოლექტივს კი არ მიერეკებოდა, არამედ მიუძღოდა“.

იგი ყოველდღიურად და ძალდატანებულად გვიტარებდა სიკეთისა და ზომიერი სიმკაცრის შერწყმის უნარ-ჩვევების გაკვეთილებს. ვიდრე რაიმე შენიშვნას მოგვცემდა, ჯერ შენს რომელიმე დადებით თვისებას გაუსვამდა ხაზს და შემდეგ, საყვედურსაც კი ზედმიწევნით ტაქტიანად გამოხატავდა, როცა რაიმე განსაკუთრებულს დაგავალებდა, დააყოლებდა — აბა შენ იცი, შენებურად მიმიხედე ამ საქმესო. უფროსის შენდამი ასეთი დამოკიდებულება სტიმულს გაძლევდა და, ბუნებრივია, შედეგსაც შესაბამისს ღებულობდა. ბატონმა ირაკლიმ კარგად იცოდა, რომ ნორმალური თანამშრომლისათვის საჯარო კრიტიკა უმაღლესი სასჯელია, რაც ხშირ შემთხვევაში სათანადო შედეგს არ იძლევა. სამუშაო დროის მუდმივი დეფიციტის პირობებშიც კი, ზოგიერთებისგან განსხვავებით ხელქვეითს თავისი აზრის ბოლომდე გამოთქმის საშუალებას არ უზღუდავდა; წერილობით დავალებას რეზოლუციის სახით ისე ლამაზად და ლაკონურად ჩამოაყალიბებდა, რომ თუ ნორმალური კაცი იყავი, დავალებას გვერდზე უყურადღებოდ ვერ გადადებდი.

ყოველგვარი გადაჭარბების გარეშე ვიტყვი, რომ ბატონი ირაკლის დროს, საქალაქო საბჭოს აღმასკომის მრავალათასიან სისტემაში პირველ ხელმძღვანელსა და მის დაქვემდებარებაში მყოფი უამრავი სამსახურის ნომენკლატურულ მუშაკებს შორისაც იშვიათი დამოკიდებულება სუფევდა. ვერ ვიხსენებ შემთხვევას, როცა ბატონ ირაკლის თავისი თანამშრომლისთვის შენობით მიემართოს ან სხვისი თანდასწრებით ხმამაღლა რაიმე შენიშვნა მიეცეს.

უფროს-უმცროსის ასეთი დამოკიდებულება საინტერესოს და სახალისოსაც ხდიდა მიმქანცველ, არანორმირებულ სამუშაოს და ღამით 2-3-საათიანი დასვენებაც კი საკმარისი იყო, რათა მეორე დღესაც ასეთივე შემართებით გვემუშავა.

რომ არა ასეთი თავდადება, რა თქმა უნდა, დედაქალაქი თავის დროზე ვერ მიიღებდა რკინიგზის ცენტრალური ვაგზლის შენობას, სასტუმრო „მეტეხი-პალასს“, დიდი დიღმისა და გლდანის მასივების დამაკავშირებელ ავტოსტრადას თავისი უნიკალური ხიდით, ფეხით მოსიარულეთა გასასვლელებს მეტრო რუსთაველისა და ცენტრალური სუპერმარკეტის ტერიტორიებზე და სხვ.

განსაკუთრებული გულისყურით ეპყრობოდა დამოუკიდებელი საქართველოს წინაშე მდგომი პრობლემების გადაწყვეტას, რასაც ყოველგვარი ხმაურისა და რეკლამის გარეშე აკეთებდა. მარტო ის რად ღირს, რომ უშუალოდ მისი მითითებით, ყოველგვარი ხმაურის გარეშე და წესების დაცვით (მათ შორის ჭირისუფლებისგან წერილობითი თანხმობის აღებით) ჩავატარეთ მთაწმინდის პანთეონიდან და პუშკინის სკვერიდან ყოფილი პარტიული და სხვადასხვა „დამსახურების“ მუშაკების სხვა სასაფლაოებზე გადასვენების სამუშაოები. მახსოვს ეს ღონისძიებები რომ დავგეგმეთ, მითხრა — ჩემო ანზორ, ახალ ხელისუფლებას რაც უფრო ნაკლებ პრობლემას დავახვედრებთ, მით უკეთესიაო. ამ შემთხვევაშიც ნათლად გამოჩნდა ბატონი ირაკლის, როგორც დიდი ხელმძღვანელის თვისება, რასაც სიტუაციის სწორად განჭვრეტის უნარი ჰქვია.

სამწუხაროდ, ბატონ ირაკლის უსამართლოდ რამდენჯერმე ატკინეს გული. მხოლოდ ორ შემთხვევას გავიხსენებ. დამოუკიდებელი საქართველოს დედაქალაქის პირველი მერი ისე გაუშვეს სამსახურიდან, ქვეყნის მაშინდელმა პირველმა პირმა ან თუნდაც სათანადო უფლებით აღჭურვილმა რომელიმე ჩინოვნიკმა მასთან თუნდაც ფორმალური შეხვედრა ან სატელეფონო საუბარიც კი არ ჩათვალა საჭიროდ. მეორე და გამოუსწორებელი ვითარება მაშინ შეიქმნა, როცა წმინდა სამების საკათედრო ტაძრის მშენებლობის საფუძვლის ჩამყრელი და მშენებლობის სულისჩამდგმელი, ამ დიდებული ძეგლის საზეიმოდ გახსნას არ დაასწრეს.

ღრმად ვარ დარწმუნებული, ისტორია თავის დროზე უეჭველად იტყვის თავის სათქმელს და ამ ღირსეულ ქართველ მოღვაწეს თავის ადგილს დაუმკვიდრებს საქართველოს ისტორიაში.

**ანზორ ბაბუხადია**

რეკლამა
„საქართველოს
რესპუბლიკაში“
299-62-77;
599 32-85-76.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა მწუხარებით თანაუგრძნობენ ბატონ გურამ მისაბიშვილს ძმის

**იური მისაბიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

შვილი მარინა ჩიქოვანი, სიძე ზურაბ ანთაძე, შვილიშვილები კახა, ზურაბი, სოფიკო ოჯახებით იუწყებიან



**მარიამ ნიკოლოზის ასულ**

**ჩიქოვანი-საყვარელიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდი 15, 16 VI, 17 სთ. დაკრძალვა 17 VI, 15 სთ. მისამართი: ქავთარაძის 25, მე-3 კორპუსი.

---

იური ოსიპოვი ოჯახით (მეუღლე რუსიკო, შვილები გუგა და კოკი) მწუხარებით იუწყებიან, რომ ამერიკაში (აშშ) გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის აკადემიის ყოფილი რექტორი, გენერალი

**გიორგი სოგორაშვილი**

და სამძიმარს უცხადებენ ლია, თამრიკო სოგორაშვილების ოჯახებს.

---

იზა ჯაჭვაძე, ლაშა-გიორგი კრავეიშვილი დიდი გულისტკივილით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ოჯახის დიდი მეგობარი და ნათლია, თვალსაჩინო ჟურნალისტი

**ლამარა ჩინჩალაძე**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ნათესავებს და ახლობლებს.

◉ ინფორმაცია

### საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე დააკავეს

შსს სასაზღვრო პოლიციის საგამოძიებო-ოპერატიული მთავარი სამმართველოს რეგიონული დანაყოფების II სამმართველოს (დასავლეთი) ბათუმის საგამოძიებო-ოპერატიული განყოფილების თანამშრომლებმა ქ.ბათუმში, სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტზე საქართველოს მოქალაქე გოჩა ამირანის ძე მიქელაძე დააკავეს, რომელმაც 2012 წლის 12 ივნისს, სასაზღვრო-საკონტროლო გამტარ პუნქტის გვერდის ავლით, გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, მიმდინარეობს წინასწარი გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლით.

### თურქეთში კიდევ ერთი ქართველი დაიღუპა

თურქეთის ქალაქ ქემერში 37 წლის პაატა თეიძე მეგობრებმა სასტუმროს ნომერში უგონო მდგომარეობაში იპოვეს.

პაატა თეიძე საქართველოს მოქალაქეა. ის თურქეთში დასასვენებლად იმყოფებოდა.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, სასტუმროში მისულმა სასწრაფო დახმარების ბრიგადებმა 37 წლის მამაკაცის გადარჩენა ველარ მოახერხეს.

თურქმა სამართალდამცველებმა სასტუმროს ოთახიდან ჰეროინი და ლიმონმჟავა ამოიღეს.

გავრცელებული ინფორმაციით, უბედური შემთხვევის მიზეზი ნარკოტიკული საშუალებების დიდი რაოდენობით მიღება გახდა.

ინტერპრესნიუსი

## დაიჯესტი

### ტკივილი გაშოროთ...



**კაცი არ არის, ვისაც ცხოვრებაში ტკივილს ერთხელ მაინც არ შეუწუხებია, ამიტომ ყველამ კარგად ვიცით, თუ რა ნეტარების ტოლფასი შეგრძნებაა, როცა ტკივილი ნელ-ნელა ყუჩდება. ამდენად, სულაც არ არის გასაკვირი, რომ ტკივილგამაყუჩებელ წამლებზე მოთხოვნილება ყოველწლიურად იზრდება.**

სტატისტიკური მონაცემებით, ტკივილგამაყუჩებელი წამლების მსოფლიო ინდუსტრიის ყოველწლიური შემოსავალი 50 მილიარდ დოლარს აღემატება; მათ შორის, ვისაც ქრონიკული ტკივილები აწუხებს, 70 პროცენტი ქალია; ამასთან, ქალებს მამაკაცებზე მეტი ნერვული რეცეპტორი აქვთ, რის გამო ისინი ტკივილს უფრო მეტად განიცდიან. მაგრამ ამავე დროს მათ ტკივილთან გამკლავების უფრო მეტი მექანიზმიც აქვთ; ტკივილისა და შურის გრძნობა თავის ტვინის ერთი და იმავე უბნის გააქტიურებას იწვევს; დედამიწის მოსახლეობის 80 პროცენტს თავის ტკივილი ცხოვრებაში ერთხელ მაინც ჰქონია, 25-40 პროცენტი კი მას გამუდმებით უჩივის; კაცობრიობისთვის ცნობილი ყველაზე ძლიერ ტკივილი მაშინაა, როცა თირკმლიდან დაძრული კენჭი შარდსადენში იჭედება; სალანძღავი სიტყვები ენდორფინების გამომუშავებას უწყობს ხელს, რომლებიც ორგანიზმზე ტკივილგამაყუჩებლად მოქმედებენ; სამედიცინო პრაქტიკაში ყველაზე გავრცელებული ჩივილია თავის ტკივილი; თავის ტკივილიანი ხალხის 40 პროცენტი უმალ შვებას გრძნობს პლაცებოს მიღებისას, რომელიც არანაირ სამკურნალო ნივთიერებას არ შეიცავს, მაგრამ რომელიც კაცს როგორც ტკივილგამაყუჩებელი მისცეს; ცისფერთვალება ადამიანები ტკივილს ყავისთვალიანებზე უფრო მძაფრად განიცდიან; ნაყოფის განვითარების 30 კვირისთვის ტკივილის გატარებისა და აღქმის ყველა გზა უკვე ჩამოყალიბებულია. ამ დროიდან მოყოლებული ნაყოფი ტკივილს მოზრდილი ადამიანის ინტენსივობით აღიქვამს.

### დიაგნოსტიკის სიკეთე

**ფასების ზრდა, ინფლაცია, ეკონომიკური კრიზისი, მზარდი უმუშევრობა — ყველა ეს მიზეზი ცხოვრებას მეტად ართულებს, რაც, პირველ ყოვლისა, მისი გაძვირებით გამოიხატება. სწორედ ამის გამოა, ალბათ, რომ დასავლეთში ნახმარ, ასე ვთქვათ, „მეორად" ავტომანქანებს სულ უფრო მეტი მყიდველი ჰყავს. ჩვენში კი, როგორც ცნობილია, ასეთი ავტომანქანები კერძო ავტოპარკის 90 პროცენტს შეადგენს, მათი რეექსპორტი კი საგარეო ვაჭრობის ყველაზე დიდ სეგმენტს წარმოადგენს.** მაგრამ, ნახმარი ავტომანქანის ყიდვისას აუცილებელია მანქანის ტექნიკური მდგომარეობის დადგენა, იმის ცოდნა, ნაავარიევია მანქანა თუ არა. ამის დადგენაში კი მყიდველისთვის



ფასდაუდებელი სამსახურის გაწევა შეუძლია მინიატიურულ მოწყობილობას, რომელსაც შემქმნელებმა „სპორტ როდი" უწოდეს. იგი ჩვეულებრივ კალმისტარს ჰგავს და მისი მანქანის ძარაზე გატარება საკმარისია ტექნიკური მდგომარეობის შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მისაღებად: იყო თუ არა ავტომანქანა დაზიანებული, ხომ არ არის საღებავქვეშ კოროზიის ნიშნები და სხვა.

### „ფორბსის" გმირები ეკლიანი მავთულხლართის მიღმა

**ისინი, ვისთვისაც გავლენიანი ამერიკული გამოცემა „ფორბსი", უწინარესად, ეკონომიკისა და ფინანსების სამყაროში მიმდინარე პროცესების გამშუქებელი ჟურნალია, რომელიც ხშირად აქვეყნებს სხვადასხვა რეიტინგს, მათ შორის პლანეტის უმდიდრეს ადამიანთა სიებს, დარწმუნებულები ვართ, დიდად გაკვირვებულნი დარჩებიან იმით, რომ ცოტა ხნის წინათ მის ფურცლებზე რუსეთის კრასნოიარსკის მხარის ომსკის ოლქის სასჯელაღსრულების კოლონიების... პატიმრები მოხვდნენ, რომლებსაც მილიონიანი კაპიტალები სიზმრადაც არ უნახავთ.**

სისხლის სამართლის დამნაშავეები, რომლებიც სასჯელს ომსკის ოლქის კოლონიებში იხდიან, იმ ნუსხაში მოხვდნენ, რომელშიც „პატიმრებისთვის ყველაზე დიდი მოგების მომტანი ათი საქონელია" ჩამოთვლილი. ეს ნუსხა იმ პროდუქციის ერთგვარ რეიტინგს წარმოადგენს, რომელსაც თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მომუშავე პატიმრებისთვის ყველაზე მეტი შემოსავალი მოაქვს.

„ფორბსის" ცნობით, ომსკელი პატიმრები ხანჯლებს, კორტიკებს, სტილეტებს, პალაშებს, იატაგანებსა და კიდევ სხვა მრავალი დასახელების ცივ



იარაღს ამზადებენ. გარდა ამისა, სპეციალური დაკვეთით მსურველს შეუძლია დამასკოს სახელგანთქმული ფოლადისგან ხმალიც გააკეთებინოს, თუმცა ეს, რა თქმა უნდა, სოლიდური თანხა დაუჯდება. ცივი იარაღის პირი, როგორც წესი, მოოქროვილია და გრავირებული, თან აუცილებლად ბუდეც აქვს. ზოგიერთ სახელოსნოში კი სულაც აბჯრებსაც ამზადებენ, რომლებზე ნუვორიშები ჭკუას კარგავენ.

ამასთან, ამერიკელი ჟურნალისტები იმასაც აღნიშნავენ, რომ კოლონიების ბაზაზე ცივი, თუნდაც სუვენირული იარაღის წარმოების მოწყობის იდეა, ცოტა არ იყოს, უცნაურიცაა და სარისკოც. „ასეთი მეთოდი, ალბათ, არა იმდენად შრომით, რამდენადაც ფსიქოლოგიურ თერაპიად უნდა მივიჩნიოთ, — წერს „ფორბსი". — მართალია, წარმოების პროცესში პატიმრები უმკაცრესი ზედამხედველობის ქვეშ იმყოფებიან, საკუთარი დამზადებული იარაღის გამოყენების ცდუნება მაინც დიდია".

თუმცა ფაქტია, რომ შრომა არა იმდენად აკეთილშობილებს პატიმრებს, რამდენადაც ფულის შოვნის შესაძლებლობას აძლევს. დაგროვილი ფულის ნაწილი კოლონიაში ყოფნის საფასურად იხარჯება, ნაწილი — ჯარიმებისა და დაზარალებულთათვის კომპენსაციების გადასახდელად, ზოგიერთნი კი იმდენსაც ახერხებენ, რომ თავიანთ ოჯახებსაც ინახავენ!

საგულისხმოა, რომ პატიმართა მიერ დამზადებული სარფიანი საქონლის ნუსხაში ასევე მოხვდა უგლიჩის ფეხსაცმელი, კარელის ხის სოფლის სახლები, ბაშკორტონტანული ავეჯი, არხანგელსკული გემების მაკეტები და სხვ.

## ჩვენი პრესდაიჯესტი

### გუშინდელი გაზეთებიდან



#### ინტერვიუ გუბაზ სანიკიძესთან

„ჩვენ გვაქვს ახლა კრიტიკული თვეები — ივნისი, ივლისი, აგვისტოს დასაწყისი, აგვისტოს მეორე ნახევრიდან აქ სხვა ვითარება იქნება, ჩამოვლენ უცხოელი დამკვირვებლები და ახლა უნდა მოასწროს სააკაშვილმა პროვოცირება და ის, ალბათ, რაღაცას ამ დროში „გაგვიჩალიჩებს"... 148-მილიონიანი ჯარიმის უკანონოდ დაკისრება ივანიშვილზე ეს არის მაპროვოცირებელი ფაქტორი, რომ ქუჩაში გამოგვიყვანოს. სააკაშვილს ახლა ყველაზე მეტად აწყობს ჩვენი ქუჩაში გამოსვლა".

„ალია".

#### ბიძინა ივანიშვილი დაკისრებული ჯარიმის გადახდას არ აპირებს

„გურიანიუსის" კითხვაზე, რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუკი ჯარიმებს არ გადაიხდის, ივანიშვილმა ასეთი პასუხი გასცა: — ეს უნდა ვკითხოთ ხელისუფლებას — რას აპირებენ შემდგომში. მე მინდა დავაწყნარო საქართველოს მოსახლეობა და ვუთხრა, რომ ყველაფერი კარგად იქნება. ესენი აგონიაში ჩავარდნილი ხალხია და ყველაფერს აკეთებენ, რომ პროცესი შეაბრუნონ. ერთი კაცი ისტერიკაშია, მაგრამ იგი ვერ შეძლებს საქართველოს მოსახლეობის შეჩერებას.

„ახალი თაობა".

#### ცხენის ხორცის ხინკალი და „გუდვილური" სოიოს პელმენები

ხორცპროდუქტების ქართულ ბაზარზე მუდმივად პრობლემებია. სავაჭრო ქსელში ხან ჯანმრთელობისთვის საშიში ინგრედიენტები ხვდება, ხანაც ცხენის ან კამეჩის ხორცი და მათგან დამზადებული სხვადასხვა ფარშირებული ნახევარფაბრიკატი. მეწარმეები ამა თუ იმ პროდუქტის ეტიკეტირებისას კვლავ იტყუებიან. არავის გაგიკვირდეთ თუ „საქონლის ხორცისაგან დამზადებულ" ნაწარმში სოიო, ან რომელიმე სხვა პარკოსანი აღმოჩნდება.

„რეზონანსი".

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
*„საქართველოს რესპუბლიკაში"*
299-62-77; 599 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— ქვირფასო, თქვენ ისე ხშირად შემოდიხართ ჩემს ვებგვერდზე, რომ ვერ გამიგია, ჩემი ქმრის საყვარელი ხართ თუ ჩემი საყვარლის ცოლი?

* * *

— საყვარელო, მთელი სადარბაზოს გასაგონად ვიყვირებ, რომ მიყვარხარ! — ეუბნება პეტკა დაშას.

— ძვირფასო, რატომ მხოლოდ სადარბაზოს და არა მთელი კორპუსის გასაგონად?

— ჩემო კარგო, ძალიან გადაჭარბებულადაც ნუ შეიფასებ თავს!



— ნიკა, აბა დამისახელე ორი გარეული მხეცი! — ეუბნება ბიოლოგიის მასწავლებელი.

— ვეფხვი და... არ მახსოვს.

— არ იცი, ორიანი!

— მარო, სამი გარეული მხეცი ჩამომითვალე.

— ვეფხვი, ლომი და... არ მახსოვს.

— დაჯექი, ორიანი!

— მიხო, დამისახელე ხუთი გარეული მხეცი!

— ორი ვეფხვი და სამ ლომი!

* * *

— ჩვენ იდეალურად შევეწყობოდით ერთმანეთს, ერთნაირი ხასიათი გვაქვს! მეც იგივესი მეშინია, რისიც შენ — ეუბნება პეტკა დაშას.

— რაო, შენც დაფეხმძიმების გეშინია?

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი"
(ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში"
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24